Following the acquisition of 90% stakes in BB by Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co. Ltd in 2012, additional capital injection in the amount of 45 million USD was made by the Bank's new major shareholder. The first injection was made at the end of 2012 for 15 million USD followed by additional 30 million USD in the mid of the year. Thus the shareholders laid solid foundation to ensure future development with strengthened capitalization and capacity. As a result the regulatory capital ratio has risen from below 12.9% in early 2012 to 32% at the end of 2013.

The year 2013 proved to be challenging, uncertainties in political and economic situation, tensions due to the changes in the government and political controversies, these and other factors effecting the economy which showed moderate growth 3.2% and banking industry growth was relatively low throughout the whole year (average 3% quarterly), with some recovery in the last quarter 9%. Though the end of the year proved to be more active and the sector growth reached 20%, still the sector activity was limited. The loans extended by the sector during the year were mainly concentrated on retail, with moderate growth in business financing. Some businesses continued to decline and activities were subdued, the banking industry was induced to concentrate more on retail.

Starting from middle of 2011, lending growth rate is persistently declining along with reducing growth of GDP. The decline is more notable in corporate loans. The retail portfolio growth decreased but with lower pace and displays some growing tendency starting from the middle of 2013. The uncertainties and low investment activities (which was caused by the Governments low spending and delays in financing of investment projects, lack of investments) during the whole 2012 and 2013 were main reasons holding the businesses. In QIV_2013 some more activity was observed and the portfolio increased by 11%. Interest rates continued to decline, reflecting low demand and high liquidity within the sector. Low inflation and monetary policy was also supporting the reduction of market rates.

The QIV_2013 was much more active due to increased government spending, increased demand and stabilization of political situation. In 2013 economic growth was partially compensated by increased foreign trade, export of goods and services and tourism. Second half of the year was supported by increased capital and social spending initiated by the Government. Increased demand stimulated increased credit activity of banking sector which was much significant in last quarter than throughout the whole year. In total the growth of GDP reached 7.4% over QIV_2012 year result. Year 2014 should prove to be more positive and is expected the GDP growth to reach 5%.

The yearly growth of the bank's assets in 2013 reached +95% (GEL 392 million) over 2012 year results (GEL 201 million), in absolute terms the increase is for GEL 190 million, where 50% of this growth falls on loan portfolio (GEL 95 million) and 33% falls on held for sale securities (GEL 65 million). Such growth was supported by increased capital (GEL 54 million) and strong deposit inflow reaching 99% increase over 2012 balances (additional GEL 115 million).

During the year average quarterly growth rate for the loan portfolio was 20-25%. The growth was achieved in Corporate and SME sectors, business sector loans doubled since last year showing 116% growth and retail loan portfolio increased by 62% where lending in mortgage loans where more significant +95% (additional GEL 19 million).

Financial Results

With corporate loans shares increasing so fast, the concentration issues are of much importance. The bank sets upper limits for top borrowers groups' exposure, single borrower limits, etc to secure increase of concentration risk in portfolio. Top borrowers group exposure to total portfolio as at end of the year equaled to 34% and amounted to GEL 65 million. There are 5 groups of large borrowers whose gross exposure is more than 5% of regulatory capital (the limit is regulated by NBG) and the gross exposure equals to GEL 33 million. The gross limit for large borrowers is 200% of regulatory capital. Currently this ratio stands at 30%, average exposure of borrowers is GEL 7 million. At the end of 2012 same ratio was 28%.

Portfolio quality

The bank sets the portfolio quality measurements. The provisioning rate as at yearend equaled to 2.6% under IFRS, which is lower than NBG rate 3.3%. One indicator which we use to control the portfolio quality is the share of overdue loans (more than 30 days) and restructured loans, plus written off loan for the period in gross portfolio. As at end of December 2013 such loans composed 3.4% of portfolio, and total NPLs composed 2% of gross portfolio. As per IFRS the NPLs coverage ratio is 120%. The portfolio reserve is significantly lower than in previous years. Significant NPLs exposures were removed from the portfolio either through recoveries, or through foreclosures. The portfolio is well collateralized: above 90% of portfolio is secured by deposit and significant part with real estate. These and other factors caused that the portfolio does not require significant impairment charges.

Customer funding and liquidity

In 2013 deposits from customers reached GEL 231 million and compared to previous year results almost doubled (up from GEL 116 million). Customer deposits compose about 85% to total liabilities as of end of 2013, 78% as of end 2012. The concentration of top 10 clients' exposure equals to 43%, top 20 to 55%. It is significant to retain low volatility of deposits.

Currently 20% of our total deposit portfolio is concentrated in sectors which are characterized by stability and less volatility, such as Universities, Government Controlled companies, insurance companies. The retail clients' deposits compose 25% of portfolio and 40% out of these funds are placed on time deposits. The time deposits compose 35% of deposit portfolio, other funds are concentrated on current and demand deposits. But still the bank is funded mostly by customers short term deposits, mainly concentrated in on-demand deposits although these deposits have proved to be stable. For liquidity management the bank sets liquidity management framework based on internal and external regulations. To manage the volatility of funds on demand, the bank is using its internal measurements: quick liquidity ratio which sets minimum level of liquidity required for on-demand liabilities and is calculated on 30 days VAR analysis on 1.5 year period. The ratio is reviewed in every six months by ALCO. Currently the bank has over liquidity – 70%, which is caused by the sharp inflow of deposits and injection of capital. The required minimum liquidity is 30%, based on the calculations referred above and minimum requirement of NBG, which one of this two will be greater.

Equity

At the end of 2013, the Group's total equity amounted to GEL 121 million. That is 31% of total bank assets (2012: GEL 54 million; 27%). During the year, the bank's equity increased by 123% due to capital injection and income generated during the year. The share capital increased up to GEL 16 million and share premium, the excess of contributions received over the nominal value of shares issued, amounted GEL 74 million. The whole investment was made by the new shareholder who has increased its share in capital up to 92.98%, Mr. Zurab Tsikhistavi acquired additional shares and his share in capital amounted 5.17%, accordingly EBRD had 1.85% at the year-end. As at year end BB position in banking sector in terms of capital improved from 9th to 7th.

Financial Results

Consolidated Balance sheet (in thousand gel)	2013 Audited	2012 Audited	Yearly change%
Cash	18,201	12,985	40%
Deposits with Banks	63,110	32,826	92%
Available-for-sale Financial Assets	93,575	28,872	224%
Gross Loans	193,638	98,733	96%
Corporate Loans	81,521	24,196	237%
SME Loans	53,140	38,059	40%
Retail Loans	58,977	36,478	62%
Mortgage Loans	39,495	20,278	95%
Consumer Loans	14,223	11,046	29%
Card Loans	5,259	5,154	2%
Less: Loan Loss Reserves	(5,099)	(4,200)	21%
NET LOANS	188,539	94,533	99%
Property and Equipment	16,593	15,081	10%
Other assets	11,385	16,415	-31%
TOTAL ASSETS	391,403	200,712	95%
Deposits and balances from banks	25	5,318	-100%
Current Accounts and Deposits from Customers	231,364	116,063	99%
Current Deposits	99,872	41,192	142%
Demand Deposits	51,550	30,188	71%
Time Deposits	79,942	44,683	79%
Borrowed Funds	30,189	19,867	52%
Subordinated loan	3,165	2,976	6%
Other liabilities	5,862	2,339	151%
TOTAL LIABILITIES	270,605	146,563	85%
Share Capital	89,908	36,375	147%
Other reserves	3,668	2,853	29%
Retained earnings	27,222	14,671	86%
Non-controlling interest	-	250	-100%
TOTAL SHAREHOLDERS' EQUITY	120,798	54,149	123%
TOTAL LIABILITIES AND EQUITY	391,403	200,712	95%

Income Statement

The bank generated GEL 13.4 million of net profit, almost four times more over 2012 year-end result, where bank's net profit amounted to GEL 3.7 million. Profit before taxes amounted GEL 14.1 million exceeding the year 2012 income by 321%. The main driver of income is net interest income which composes 80% of total revenues. Revenues are supported by still solid margins and improved scale of efficiencies.

With loan portfolio growth up to GEL 193 million the interest income increased by 60%, versus last period decrease -1.9% in 2012. Annual NIM stands at 7.6% which is much the same as in 2012. NIM is affected by decrease in loan portfolio yield down to 16.1% which shows decrease by 2.67 ppt comparing to year 2012 18.8%, which is acceptable with the market's rates persistently going down.

Financial Results

On liabilities side deposits yield decreased by 1.26 ppt comparing to year 2012 from 5.4% to 4.1%, significant rate cuts on deposit occurred in the second half of the year. The gross interest yield (interest paid on average interest-earning asset for the period) is still benefited due to increased share of Average Interest Earning Assets in Total Assets from 65% to 77%.

The operating income from the banking operations is given as net interest income and other income from operations including commissions, FX transaction, etc.

Net Operating Income is well supported by decreased Overhead cost 50% though in total the operating expenses were increased by 28%, it was mainly due to increased staff costs and advertising and marketing expenses. Other income is benefited by disposing repossessed assets with gain which for the year amounted GEL 3.5 million.

Consolidated Income Statement (in thousand gel)

	2013 Audited	2012 Audited	YOY change%
Interest Income	26,850	16,864	59%
Interest Expense	-8,397	-7,716	9%
Net Interest Income	18,453	9,148	102%
Other NonInterest Income	8,454	4,551	86%
Total Operating Income	26,907	13,699	96%
Personnel Expenses	-6,764	-5,547	22%
Marketing Expenses	-621	-190	227%
Other General Administrative Expenses	-4,064	-3,704	10%
Total Operating Expenses	-11,449	-9,441	21%
NET OPERATING INCOME	15,458	4,258	263%
Impairment Losses on loans	-1,284	-890	44%
Profit/(Loss) before Taxes	14,174	3,368	321%
Income Tax Expense/(Benefit)	-1,623	27	NMF
PROFIT	12,551	3,395	270%
Other Comprehensive Income, Net of Tax	815	265	NMF
TOTAL COMPREHENSIVE INCOME	13,366	3,660	265%
ROAE	11.1%	6.8%	
ROAA	3.4%	1.8%	
OH Ratio	51.0%	73.3%	

Fitch has upgraded JSC BB's Long-term Issuer Default Rating (IDR) to 'B' from 'B-', the Outlook Stable. The upgrade reflects the sound growth in the bank's financials, on capital side supported strongly by the Shareholders.

After capital injection of 30 million USD the bank shows sufficiently rapid growth in its assets and loan portfolio, the biggest in the sector for the period, and solid earnings. Still the bank's limited franchise is challenging and it should be tasted against its ability of gaining sufficient market share, without sacrificing the quality of assets.

CONSOLIDATED FINANCIAL STATEMENTS AND INDEPENDENT AUDITORS REPORT



“ბაზისბანკის ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2013 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში	1
მოგების ან ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში	2
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში	3
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

1	შესავალი.....	5
2	ბანკის სამუშაო გარემო.....	5
3	აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა.....	5
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში.....	19
5	ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების დამტკიცება.....	20
6	ახალი სააღრიცხვო განცხადებები.....	22
7	ფული და ფულადი ეკვივალენტები.....	25
8	სავალდებულო მინიმალური რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	26
9	სხვა ბანკებიდან მისაღები სახსრები.....	26
10	კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები.....	26
11	სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფინანსური ქაღალდები	32
12	საინვესტიციო ქონება.....	32
13	შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და არამატერიალური აქტივები.....	33
14	სხვა ფინანსური აქტივები	34
15	სხვა აქტივები.....	34
16	სხვა ბანკებიდან ნასესხები სახსრები.....	35
17	კლიენტთა ანგარიშები.....	35
18	სხვა ნასესხები სახსრები	36
19	სხვა ფინანსური ვალდებულებები	36
20	სხვა ვალდებულებები	37
21	სუბორდინირებული ვალი.....	37
22	სააქციო კაპიტალი	37
23	საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი.....	38
24	საკომისიო შემოსავალი და ხარჯი	38
25	სხვა საოპერაციო შემოსავალი	39
26	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო შემოსავალი	39
27	საშემოსავლო გადასახადები.....	40
28	ფინანსური რისკების მართვა	42
29	კაპიტალის მართვა	53
30	გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები.....	54
31	ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჩათვლა	57
32	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.....	58
33	ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	59
34	ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა საზოგადოებრივი კატეგორიის მიხედვით	62
35	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	63

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს “ბაზისბანკის” აქციონერებს და მენეჯმენტს

ჩვენ შევამოწმეთ სს “ბაზისბანკისა” და მისი შვილობილი საწამოების თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები, რომლებიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშს, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი საბუღალტრო პროცედურების მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აღნიშნული ფინანსური ანგარიშების “ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების” თანახმად მოამზადებასა და სამართლიანად წარმოდგენაზე და იმ შიდა კონტროლის პროცედურებზე, რომლებიც მენეჯმენტის აზრით დაკავშირებულია ისეთი ნაერთი ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, რომლებიც არ შეიცავს თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს;

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერვე ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გავაკეთოთ დასკვნა აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე. აუდიტი ჩატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით მოითხოვება, რომ დავიცვათ შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები და აუდიტი დავეგეგმოთ და ჩატაროთ იმის შესახებ დასაბუთებული რწმუნების მოსაპოვებლად, შეიცავს თუ არა ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები რაიმე სახის არსებით უზუსტობას.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების განხორციელებას, რომელთა მიზანია აუდიტური მტკიცებულების მოპოვება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში ასახული თანხებისა და მონაცემების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის შესხედულებაზე, მათ შორის აუდიტორის მიერ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში თაღლითობისა თუ შეცდომის გამო არსებული მნიშვნელოვანი უზუსტობების რისკების შეფასებაზე. ხსენებული რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, არსებულ პირობებში სათანადო აუდიტის პროცედურების შემუშავების მიზნით და არა სუბიექტის შიდა კონტროლის პროცედურების ეფექტურობაზე მოსაზრებისა თუ დასკვნის გაკეთების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და ბუღალტრული გაანგარიშებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე მთლიანობაში წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების სისწორის შეფასებას.

ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები სამართლიანად ასახავს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სს “ბაზისბანკისა” და მისი შვილობილი საწამოების საერთო ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი ფინანსური საქმიანობის საერთო შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, “ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად.

“ფრანსოთერპაუსკუერსი ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი. საქართველოს ფილიალი”

2014 წლის 31 მარტი
საქართველო, თბილისი

სს “პაზისბანკის ჯგუფი”
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში

ათას ლარში	შენიშვნა	31.12.2013	31.12.2012	1.01.2012
აქტივები				
ფული და ფულადი ეკვივალენტები	7	59,506	32,603	24,855
საფაღდებულო მინიშნული რეზერვები		21,805	12,943	9,569
საქართველოს ეროვნულ ბანკში	8	-	-	-
სხვა ბანკებიდან მისაღები სახსრები	9	-	265	357
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	10	188,539	94,533	72,266
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი		93,575	28,872	20,071
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	11	-	-	-
საინვესტიციო ქონება	12	1,802	1,055	1,295
არამატერიალური აქტივები	13	668	199	231
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	13	15,925	14,882	15,370
სხვა ფინანსური აქტივები	14	435	406	1,289
სხვა აქტივები	15	9,148	14,954	13,001
მთლიანი აქტივები		391,403	200,712	158,304
ვალდებულებები				
სხვა ბანკების ანაბრები	16	25	5,318	10,855
კლიენტთა ანგარიშები	17	231,364	116,063	98,211
ბანკებიდან და სხვა ფინანსური		30,189	19,867	17,659
ინსტიტუტებიდან ნახსხვები სახსრები	18	-	-	-
მიმდინარე საშემოსავლო გადასახადის		1,281	-	-
ვალდებულება		-	-	-
გადავადებული საშემოსავლო გადასახადის		1,506	1,025	1,005
ვალდებულება	27	-	-	-
ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები	30	22	167	266
სხვა ფინანსური ვალდებულებები	19	1,789	284	1,521
სხვა ვალდებულებები	20	1,264	863	190
სუბორდინირებული სესხი	21	3,165	2,976	2,959
მთლიანი ვალდებულებები		270,605	146,563	132,666
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	22	15,941	9,079	5,912
აქციაზე პრემია	22	73,967	27,296	5,612
გაუნაწილებელი მოგება		27,222	14,671	11,276
შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი		2,638	2,361	2,361
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფასიანი		1,030	492	227
ქაღალდების გადაფასების რეზერვი		-	-	-
ბანკის მფლობელების კუთვნილი წმინდა		120,798	53,899	25,388
აქტივები				
არასაკონტროლო წილი			250	250
მთლიანი კაპიტალი		120,798	54,149	25,638
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		391,403	200,712	158,304

გამოსაქვეყნებლად დამოწმებულია და დირექტორატის სახელით ხელმოწერილია 2014 წლის 31 მარტს.

დავით ცაავა
გენერალური დირექტორი

ლია ასლანიკაშვილი
გენერალური დირექტორის მოადგილე
ფინანსების დარგში

სს “პაზისბანკის ჯგუფი”

მოგების ან ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში

ათას ლარში	შენიშვნა	2013	2012
საპროცენტო შემოსავალი	23	26,850	16,864
საპროცენტო ხარჯი	23	(8,397)	(7,716)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		18,453	9,148
სესხის გაუფასურების რეზერვი		(1,284)	(890)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის გამოკლების შემდეგ		17,169	8,258
საკომისიო შემოსავალი	24	2,733	2,774
საკომისიო ხარჯი	24	(1,605)	(1,520)
ზარალი ფინანსური წარმოებულებიდან მიღებული მოგების გამოკლებით		(937)	-
მოგება უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან მიღებული ზარალის გამოკლებით		2,383	1,791
უცხოულ ვალუტაში გადაყვანის მოგება ზარალის გამოკლებით / (ზარალი მოგების გამოკლებით)		1,299	(32)
საკრედიტო ვალდებულებებთან დაკავშირებით შექმნილი რეზერვის გათავისუფლება, წმინდა	30	144	98
სხვა საოპერაციო ხარჯები	25	4,661	985
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	26	(11,673)	(8,986)
მოგება გადასახადის გადახდამდე		14,174	3,368
საშემოსავლო გადასახადი (ხარჯი)/კრედიტი	27	(1,623)	27
წლის მოგება		12,551	3,395
სხვა მთლიანი შემოსავალი:			
<i>პუნქტები, რომლებიც შემდგომში შეიძლება მოგებაში ან ზარალში იყოს აღებული:</i>			
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ინვესტიციები:			
- მოგება წლის განმავლობაში დამდგარი ზარალის გამოკლებით	11	693	361
- მოგება განკარგვისას ან გაუფასურებისას მოგებაში ან ზარალში აღებული ზარალის გამოკლებით		(60)	(49)
პირდაპირ სხვა მთლიან შემოსავალში ასახული საშემოსავლო გადასახადი	27	(95)	(47)
<i>პუნქტები, რომლებიც მოგებაში ან ზარალში არ იქნება აღებული:</i>			
შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გადაფასება	13	326	-
პირდაპირ სხვა მთლიან შემოსავალში ასახული საშემოსავლო გადასახადი	27	(49)	-
წლის სხვა მთლიანი შემოსავალი		815	265
სულ წლის მთლიანი შემოსავალი		13,366	3,660
მოგება, რომელიც მიეკუთვნება:			
- ბანკის მფლობელებს		12,551	3,395
- არასაკონტროლო აქციების მფლობელებს		-	-
წლის მოგება		12,551	3,395
სულ მთლიანი შემოსავალი, რომელიც მიეკუთვნება:			
- ბანკის მფლობელებს		815	265
- არასაკონტროლო აქციების მფლობელებს		-	-
სულ წლის მთლიანი შემოსავალი		13,366	3,660

სს “პაზისბანკის ჯგუფი”
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში

	შენიშვნა	ბანკის მფლობელთათვის კუთვნილი						არასაკონტროლო წილი	მთლიანი კაპიტალი
		საწესდებო კაპიტალი	აქციაზე პრემია	სხვა ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი	შენიშნული ნაგებობების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ		
<i>ათას ლარში</i>									
ბალანსი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		5,912	5,612	227	2,361	11,276	25,388	250	25,638
წლის მოგება		-	-	-	-	3,395	3,395	-	3,395
სხვა მთლიანი შემოსავალი		-	-	265	-	-	265	-	265
2012 წლის მთლიანი შემოსავალი სულ		-	-	265	-	3,395	3,660	-	3,660
აქციების ემისია	22	3,167	21,684	-	-	-	24,851	-	24,851
ბალანსი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		9,079	27,296	492	2,361	14,671	53,899	250	54,149
წლის მოგება		-	-	-	-	12,551	12,551	-	12,551
სხვა მთლიანი შემოსავალი		-	-	538	277	-	815	-	815
2013 წლის მთლიანი შემოსავალი სულ		-	-	538	277	12,551	13,366	-	13,366
აქციების ემისია	22	6,862	46,671	-	-	-	53,533	-	53,533
შვილობილი საწარმოების განკარგვა		-	-	-	-	-	-	(250)	(250)
ბალანსი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		15,941	73,967	1,030	2,638	27,222	120,798	-	120,798

სს “პაზისბანკის ჯგუფი”

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში – 2013 წლის 31 დეკემბერი

ათას ლარში	შენიშვნა	2013	2012
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული საპროცენტო სარგებელი		24,937	13,998
გადახდილი საპროცენტო სარგებელი		(7,924)	(7,290)
მიღებული საკომისიო		2,421	3,334
გადახდილი საკომისიო		(746)	(1,718)
ფინანსური წარმოებულებიდან მიღებული შემოსავალი		11	-
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი		2,383	1,791
სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავალი		99	1,602
გადახდილი პერსონალის ხარჯები		(6,158)	(5,547)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(3,192)	(2,582)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		11,831	3,588
<i>წმინდა ზრდა/(კლება):</i>			
- სხვა ბანკებიდან მისაღებ სახსრებში		(7,570)	(2,921)
- კლიენტებზე გაცემული სესხებსა და ავანსებში		(90,902)	(23,629)
- სხვა ფინანსურ აქტივებში		(147)	-
- სხვა აქტივებში		348	(81)
<i>წმინდა ზრდა/(კლება):</i>			
- სხვა ბანკებისთვის გადასახდელ სახსრებში		(5,381)	(5,510)
- კლიენტთა ანგარიშებში		109,124	17,003
- სხვა ფინანსურ ვალდებულებებში		(158)	-
- სხვა ვალდებულებებში		(157)	(607)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		16,988	(12,157)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	11	(123,502)	(33,205)
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების განკარგვიდან და გამოსყიდვიდან მიღებული შემოსავალი	11	61,520	25,662
შენიშნულ-ნაგებობებისა და მოწყობილობების შეძენა		(1,677)	(332)
შენიშნულ-ნაგებობებისა და მოწყობილობების განკარგვიდან მიღებული შემოსავალი	12		-
საინვესტიციო ქონების შეძენა/განკარგვა		(939)	-
გამოსყიდვის უფლებადკარგული დატვირთული ქონების განკარგვიდან მიღებული შემოსავალი		11,450	230
არამატერიალური აქტივების შეძენა		(539)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(53,675)	(7,645)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სხვა ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი		18,611	15,009
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა		(9,625)	(12,779)
სუბორდინირებული სესხის დაფარვა		-	(143)
ჩვეულებრივი აქციების ემისია	22	53,533	24,851
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		62,519	26,938
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე		1,071	612
ფულის და ფულადი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		26,903	7,748
ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		32,603	24,855
წმინდა ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	59,506	32,603

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

1 შესავალი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სს “ბაზისბანკისა” და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (შემდგომში – “ჯგუფი”).

ბანკი დაფუძნდა 1993 წელს და რეგისტრირებულია საქართველოში. ბანკი არის სააქციო საზოგადოება, შეზღუდული გამოშვებული აქციებით, და შექმნილია საქართველოს მარეგულირებელი წესების შესაბამისად. 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის აქციების უმრავლესობის მფლობელი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd. სხენებული კომპანია საქმიანობას ახორციელებს საბითუმო ვაჭრობის, საერთაშორისო ვაჭრობის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის, მატერიალურ-ტექნიკური მარაგების ტრანსპორტირების, მშენებლობის, სასტუმოროებისა და ტურიზმის სფეროებში. ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი პირია ერთი ფიზიკური პირი – ბ-ნი მი ენჰუა.

2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის აქციონერები იყვნენ:

აქციონერები	31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული წილები %	
	2013	2012
Xinjiang Hualing Industry & Trade (Group) Co Ltd	92.980%	93.488%
ბ-ნი ზურაბ ციხისთავი	5.166%	3.256%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (“ერგბ”)	1.854%	3.256%

ძირითადი საქმიანობა: ბანკის ძირითადი საქმიანობაა თანხების ანაბარზე აღება და კლიენტთა ანგარიშების წარმოება, სესხების გაცემა კორპორატიულ, მცირე და საშუალო ბიზნესის და საცალო კლიენტებზე, გარანტიების გაცემა, საკასო და ანგარიშსწორების ოპერაციების წარმოება, ფასიან ქაღალდებთან და უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება.

ბანკი საქართველოს ეროვნული ბანკის (“ნბ”) მიერ გაცემული გენერალური საბანკო ლიცენზიის საფუძველზე საქმიანობას ახორციელებს 1993 წლიდან.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს 17 (2012 წელს: 17) სერვის ცენტრი და ჰყავს 281 თანამშრომელი (2012 წელს: 257).

შვილობილი საწარმოები: წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მოიცავს შემდეგ ძირითად შვილობილ საწარმოებს:

სახელწოდება	რეგისტრაციის ქვეყანა	ძირითადი საქმიანობა	წილი % 31 დეკემბრის მდგომარეობით	
			2013	2012
შპს “ბაზისის აქტივების მართვა”	საქართველო	აქტივების მართვა	-	100%
შპს “ბაზისის აქტივების მართვა - ქობულეთი”	საქართველო	აქტივების მართვა	-	100%
შპს “ბაზისის აქტივების მართვა - პოლდინგი”	საქართველო	აქტივების მართვა	100%	100%
შპს “ამხანაგობა პალადი იმპერიალი”	საქართველო	მშენებლობა	-	75%

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი: ბანკის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი 0103, ქეთევან წამებულის გამზირი №1.

ანგარიშების ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია ქართულ ლარში (“ლარი”), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 ჯგუფის სამუშაო გარემო

ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფს საქმიანობა უხდება საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებსაც განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა კვლავაც ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას და ხშირად შეცვლას, რაც სხვა სამართლებრივ და საგადასახადო სირთულეებთან ერთად დაბრკოლებას უქმნის საქართველოში მოქმედ კომპანიებს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება ასახავს ჯგუფის საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე ქართული ბიზნეს გარემოს გავლენის მენეჯმენტისეულ შეფასებას. მომავალი ბიზნეს გარემო შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტისეული შეფასებისგან.

2 ჯგუფის სამუშაო გარემო (გაგრძელება)

ხელმძღვანელობამ სესხის გაუფასურების რეზერვები განსაზღვრა მოქმედი აღრიცხვის სტანდარტებით გათვალისწინებული “მიყენებული ზარალის” მეთოდის გამოყენებით. ამ სტანდარტებით მოითხოვება წარსული მოვლენებიდან გამომდინარე გაუფასურების ზარალის აღიარება და იკრძალება მოვლენებიდან, მათ შორის, ეკონომიკურ გარემოში მომავალი ცვლილებებიდან სავარაუდოდ გამომდინარე გაუფასურების ზარალის აღიარება მიუხედავად იმისა, რამდენად სავარაუდოა ამგვარი მომავალი მოვლენები. ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული საბოლოო ზარალი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეზერვების მიმდინარე მოცულობისგან. იხილეთ მე-4 განმარტებითი შენიშვნა.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მომზადებულია ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად ისტორიული ღირებულებების პრინციპით, რომელიც იცვლება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით და შენობა-ნაგებობების, სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივებისა და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით. ეს პოლიტიკა და პროცედურები თანმიმდევრულადაა გამოყენებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შედგენისას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (იხ. მე-5 განმარტებითი შენიშვნა).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები. შეიღობილი საწარმოები ის ინვესტირებული საწარმოებია, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს იმიტომ, რომ ჯგუფს (i) აქვს ხსენებული საწარმოების იმ სათანადო საქმიანობის წარმართვის უფლებამოსილება, რომელიც გააღწიას ახდენს მათ უკუგებაზე, (ii) აქვს ხსენებულ ინვესტირებულ საწარმოებში მონაწილეობიდან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება, და (iii) აქვს უნარი ინვესტირებულ საწარმოებზე თავისი უფლებამოსილება განხორციელოს ინვესტირების უკუგების მოცულობაზე ზემოქმედების მიზნით. არსებითი უფლებების, მათ შორის, არსებითი პოტენციური ხმის უფლებების, არსებობა და მნიშვნელობა მხედველობაში მიიღება იმის შეფასებისას, აქვს თუ არა ჯგუფს უფლებები სხვა სუბიექტზე. იმისათვის, რომ ესა თუ ის უფლება არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ეს უფლება გამოიყენოს მაშინ, როცა მიიღება გადაწყვეტილება ინვესტირებული საწარმოს შესაბამისი საქმიანობის წარმართვაზე. ჯგუფს ინვესტირებულ საწარმოზე უფლება შეიძლება ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ინვესტირებულ საწარმოში ხმის უფლებების უმრავლესობას არ ფლობს. ამ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მისი ხმის უფლებების რაოდენობას ხმის უფლებების სხვა მფლობელთა რაოდენობასთან და განაწილებასთან მიმართებით და ამ გზით აღგენს, მას ინვესტირებულ საწარმოზე დე-ფაქტო უფლება ხომ არ აქვს. სხვა ინვესტირების დამცავი უფლებები, მაგ., უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებული საწარმოს საქმიანობაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელებასთან ან რომლებიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენება, ჯგუფს ხელს არ უშლის ინვესტირებული საწარმოს კონტროლში. შეიღობილი საწარმოები კონსოლიდირებულად ითვლებიან კონტროლის ჯგუფზე გადასვლის დღიდან, ხოლო დეკონსოლიდირებულად ითვლებიან კონტროლის შეწყვეტის დღიდან.

აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შეიღობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვის მიზნით. ერთობლივ საქმიანობაში შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი ვალდებულებები იანგარიშება შეძენის დღეს არსებული მათი სამართლიანი ღირებულებით მიუხედავად რაიმე არასაკონტროლო წილის მოცულობისა.

ჯგუფი იმ არასაკონტროლო წილს, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე წილს და ლიკვიდაციის შემთხვევაში მის მფლობელს ანიჭებს წმინდა აქტივებში პროპორციულ წილს ყოველი ტრანზაქციის შემთხვევაში, განსაზღვრავს შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივებში არასაკონტროლო წილის პროპორციული წილით.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ფასი იანგარიშება თავიანთი აქტივების სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის, გაუთვალისწინებელი გარიგებებიდან გამომდინარე აქტივებისა თუ ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ ამ ფასში არ შედის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები, მაგ., საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების ხარჯები.

კომპანიათშორისი გარიგებები, ჯგუფის კომპანიებს შორის ტრანზაქციების ბალანსები და არარეალიზებული შემოსავალი გამოირიცხება; ასევე გამოირიცხება არარეალიზებული ზარალი, თუ ღირებულების ამოღება შეუძლებელია. ბანკი და ყველა მისი შეიღობილი საწარმო იყენებს აღრიცხვის ერთგვაროვან პროცედურებს, რომლებიც შესაბამისობაშია ჯგუფის პროცედურებთან.

არასაკონტროლო წილი წმინდა მოგებისა და შეიღობილი საწარმოს კაპიტალის ის ნაწილია, რომელიც მიეკუთვნება იმ წილებს, რომლებსაც ბანკი პირდაპირ თუ არაპირდაპირ არ ფლობს. არასაკონტროლო წილი ჯგუფის კაპიტალის ცალკე შემადგენელი ნაწილია.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

შეიღობილი საწარმოების განკარგვა. როცა ამა თუ იმ სუბიექტზე ჯგუფის კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა წყდება, ამ სუბიექტში დარჩენილი წილი გადაფასდება და დაიყვანება მის მის სამართლიან ღირებულებამდე, ხოლო სდაბალანსო ღირებულებაში მომხდარი ცვლილება აისახება მოგებაში ან ზარალში. სამართლიანი ღირებულება არის საწყისი საბალანსო ღირებულება დარჩენილი წილის, როგორც ფინანსური აქტივის შემდგომში აღრიცხვის მიზნით. გარდა ამისა, ამ სუბიექტთან დაკავშირებით სხვა მთლიან შემოსავალში მანამდე აღიარებული თანხები აღირიცხება ისე, თითქოს ჯგუფმა უშუალოდ განკარგა შესაბამისი აქტივები თუ ვალდებულებები. ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ სხვა მთლიან შემოსავალში მანამდე აღიარებული თანხები აიღება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უზუყვეტი წესით მისაღებად.

მოქმედ ბაზარზე სავაჭროდ განთავსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება იანგარიშება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კვლირებული ფასისა და სუბიექტის მფლობელობაში არსებული რაოდენობის ნამრავლი. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ამ რაოდენობის შთანთქმისთვის და ერთი გარიგების ფარგლებში ამ პოზიციის გაყიდვის მიზნით შეკვეთების მიცემამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კვლირებულ ფასზე.

იმ ფინანსური წარმოებულების ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომლებიც ბაზარზე სავაჭროდ არ არის განთავსებული, იანგარიშება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რომელიმე ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნებოდა წმინდა ხანგრძლივი პოზიციის (მ. შ. აქტივის) გაყიდიდან (კონკრეტული რისკის გათვალისწინებით) ან გადახდილი იქნებოდა წმინდა მოკლე პოზიციის (მ. შ. ვალდებულების) დასაფარად (კონკრეტული რისკის გათვალისწინებით) გაანგარიშების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში. (ა) წესი გამოიყენება პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივების მიმართ, თუ “ჯგუფი”: (i) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ამ ჯგუფის მართვას ახორციელებს კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ან კონკრეტული კონტრაგენტის საკრედიტო რისკის მიმართ სუბიექტის წმინდა მგრძნობიარობის საფუძველზე სუბიექტის რისკების მართვის ან საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად; (ბ) ის ამ საფუძველზე სუბიექტის საკანძო ხელმძღვანელებს აძლევს ინფორმაციას აქტივებისა და ვალდებულებების ამ ჯგუფის შესახებ; და (გ) საბაზრო რისკები, მათ შორის, მოცემული ფინანსური აქტივებიდან და ფინანსური ვალდებულებებიდან გამომდინარე კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ სუბიექტის მგრძნობიარობის ხანგრძლივობა, არსებითად იცვება.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელი ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელი ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. სამართლიანი ღირებულების გაანგარიშების ანალიზი ტარდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში არსებული შემდეგი დონეებით: (i) პირველი დონე მოიცავს მოქმედ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე ქვლირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით განხორციელებულ გაანგარიშებებს; (ii) მეორე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც თვალისწინებს მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით პირდაპირ (ანუ, ფასებით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებად ყველა მნიშვნელოვან მონაცემს, და (iii) მეორე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს არ ეფუძნება (ანუ ამ შემთხვევაში შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს). ითვლება, რომ სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლა მოხდა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. იხილეთ 33-ე განმარტებითი შენიშვნა.

ღირებულება არის გადახდილი ფულის ან ფულადი ეკვივალენტების თანხა ან შეძენის დროს აქტივის შესაძენად გაცემული სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება და მოიცავს *საოპერაციო ხარჯებს*. თვითღირებულებით გაანგარიშება გამოიყენება მხოლოდ იმ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებულ ინვესტიციების მიმართ, რომელთაც არ აქვთ კვლირებული საბაზრო ფასი და რომელთა სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ გაანგარიშება შეუძლებელია. იხილეთ მე-11 განმარტებითი შენიშვნა.

საოპერაციო ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალ პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვალებებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მჩვენებლებს.

ფინანსური აქტივების ყველა ის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდებაც მოითხოვება მარეგულირებელი ან საბაზრო შეთანხმებით დადგენილ ვადებში (“რეგულარული” ყიდვა-გაყიდვის გარიგებები), აღირიცხება გარიგების დღეს, რომელიც ის დღეა, რომელზეც ბანკი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა ორგანიზაცია გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ბანკი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოწურა ან (ბ) ბანკმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაეცემა, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფული და ფულადი ეკვივალენტები. ფული და ფულადი ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ცნობილ ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოკლევადიან დეპოზიტებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხმის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში წარმოდგენილი გადახდილი თანხები ან შემოსულობები წარმოადგენს ჯგუფის მიერ განხორციელებული ფულისა და ფულადი ეკვივალენტების ჩარიცხვა-გადარიცხვებს, მათ შორის, ჯგუფის კონტრაგენტების ჯგუფში არსებულ ანგარიშებიდან გადარიცხულ ან ამ ანგარიშებზე ჩარიცხულ თანხებს, მაგ., სესხის პროცენტის შემოსავლებს ან სესხის ძირს, რომლის ინკასირება ხდება კლიენტის მიმდინარე ანგარიშის ხარჯზე, ან კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხულ გადახდილ პროცენტებს ან სესხის განაცემებს, რაც კლიენტის პერსპექტივიდან ფულსა და ფულად ეკვივალენტებს წარმოადგენს.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრების რეზერვი. საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრების რეზერვი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს პროცენტულ და უპროცენტო სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის დაფინანსებისთვის და ამიტომ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის მიზნებისთვის არ მიიჩნევა ფულისა და ფულადი ეკვივალენტების შემადგენელ ნაწილად.

სხვა ბანკებიდან მისაღები სახსრები. სხვა ბანკებიდან მისაღები სახსრები აღირიცხება, როცა ჯგუფი ფულს კონტრაგენტთა ბანკებში ავანსის სახით გადარიცხავს ფიქსირებულ ან განსაზღვრულ დღეებში მისაღები არაკოტირებული არადერივატიული დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვის გარეშე. სხვა ბანკებიდან მისაღები სახსრები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აღირიცხება, როდესაც ბანკი გასცემს საავანსო თანხას არაკოტირებული კლიენტისგან არადერივატიული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან წარმოქმნის მიზნით, რომელიც გადასახდელია დადგენილ ან განსაზღვრულ ვადებში და არ აქვს დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვა. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ წელთან დაკავშირებით, რომელშიც წარმოიქმნება იმ ერთი ან მეტი შემთხვევის შედეგად (“ზარალის შემთხვევები”), რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარუდო მომავალი ფულადი ნაკადების იმ ოდენობაზე ან დროზე, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ.

ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც ჯგუფი განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურების ზარალი:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის უკავშირდებული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში იმ ზოგადად მთელი ქვეყნის თუ ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების საფუძველზე. ეს მახასიათებლები აღნიშნული აქტივების ჯგუფების მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასებას ასახავს იმით, რომ აჩვენებს დებიტორთა უნარს ყველა ვადადამგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შესაფასებელი აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

მომავალი ფულადი ნაკადები იმ ფინანსურ აქტივებში, რომელთა გაუფასურებაზე შეფასებაც ერთობლივად ხორციელდება, იანგარიშება ამ აქტივების სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობის გათვალისწინებით და ზარალის წარსული შემთხვევების შედეგად თანხების ვადაგადაცილების სისშირის საკითხში და ვადაგადაცილებული დავალიანებების წარმატებით ამოღებაში ხელმძღვანელობის გამოცდილების საფუძველზე. წარსულის გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე იმ არსებული პირობების შედეგების ასახვის მიზნით, რომლებმაც გავლენა არ მოახდინა გასულ პერიოდებზე და წარსული პირობების იმ შედეგების გამოსარიცხად, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება შეფასდება პირობების შეცვლაზე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, მინუს უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის საფუძველზე. ამოუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მიეკუთვნება სხვა შემოსავალს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის გათვალისწინებით.

ამოუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მიეკუთვნება სხვა შემოსავალს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის საფუძველზე.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა. დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ვადაგადაცილებული სესხების გაკეთების მიზნით ჯგუფის მიერ მიღებულ ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს. აღნიშული აქტივები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და მიეკუთვნება შენობა-ნაგებობებსა და მოწყობილობებს, სხვა ფინანსურ აქტივებს, საინვესტიციო ქონებას ან სხვა აქტივებში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ მარაგებს, მათი ხასიათისა და ამ აქტივების შემდგომ ამოღებასთან დაკავშირებით ჯგუფის განხრახვის გათვალისწინებით, ხოლო შემდეგ მათი ღირებულება განმეორებით იანგარიშება და აღირიცხება ამ კატეგორიების აქტივების აღრიცხვის წესების შესაბამისად. დასაკუთრებული აქტივების მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია.

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები. ჯგუფი კისრულობს კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებას, მათ შორის აკრედიტებს და ფინანსურ გარანტიებს. ფინანსური გარანტიები წარმოადგენს გადახდების განხორციელების გამოუხმობ გარანტიას იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ვალდებულებები მესამე მხარეებთან დაკავშირებით, და ატარებს იმავე საკრედიტო რისკს, როგორსაც სესხები. სესხის გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური გარანტიები და ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიოების თანხებით. ეს თანხა ამორტიზირებულია სწორხაზოვანი მეთოდით ვალდებულების მოქმედების ვადის პერიოდში, გარდა სესხის წარმოშობის ისეთი ვალდებულებებისა, როცა შესაძლებელია, რომ ჯგუფი გააფორმოს სპეციალური დაკრედიტების ხელშეკრულება და არ ვარაუდობს გაყიდოს სესხი წაროქმნის შემდეგ; ასეთი სესხის ვალდებულების საკომისიო გადავადდება და სესხის საბალანსო ღირებულებაში შეიტანება თავდაპირველი აღიარებისას. თითოეული საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, ვალდებულებები გამოითვლება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი თანხა (i) თავდაპირველი აღიარებისას თანხის ნარჩენი დარჩენილი არამორტიზირებული ნაშთი და (ii) თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარად აუცილებელი ხარჯის საუკეთესო შეფასება.

ხელშეკრულების შესრულების გარანტიები. ხელშეკრულების შესრულების გარანტიები ის ხელშეკრულებებია, რომლებიც ითვალისწინებს კომპენსაციის გადახდას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ამა თუ იმ სახელშეკრულებო ვალდებულებას. ამგვარი კონტრაქტებით საკრედიტო რისკი არ გადადის. ხელშეკრულების შესრულების გარანტიების თავდაპირველი აღიარება ხდება მათი სამართლიანი ღირებულებით, რაც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიოების თანხით. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ეს თანხა ამორტიზირდება სწორხაზოვანი მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ხელშეკრულების შესრულების გარანტიები (ხელშეკრულებები) გადაფასდება შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულებით: (i) თავდაპირველი აღიარებისას თანხის ამორტიზირებული ბალანსი და (ii) იმ ხარჯის საუკეთესო გაანგარიშება, რაც აუცილებელია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელშეკრულების (გარანტიის) დასაფარად და არც დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე. როცა ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფს აქვს უფლება ხელშეკრულების შესრულების გარანტიების დაფარვის მიზნით გადახდილი თანხების ამოსაღებად მიმართოს კლიენტს, ასეთი თანხები აღიარებული იქნება სესხებად და დებიტორულ დავალიანებებად გარანტიის ბენეფიციარისთვის ზარალის კომპენსაციის გადარიცხვისთანავე.

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომელთა ფლობასაც ჯგუფი განუხაზღვრელი ვადით აპირებს და რომლებიც შეიძლება გაყიდოს ლიკვიდობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ან საპროცენტო განაკვეთში, სავალუტო კურსში ან აქციების კურსში მომხდარ ცვლილებებზე რეაგირების მიზნით.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ღირებულებები გასაყიდ წილობრივ ინსტრუმენტზე აღიარებულია იმ წლის მოგების ან ზარალის გათვალისწინებით, როდესაც დადგინდა ჯგუფის უფლება გადახდების მიღებაზე და შესაძლებელია, რომ ღირებულებების ამოღება მოხდეს. სამართლიან ღირებულებაში ცვლილების ყველა სხვა ელემენტის აღიარება ხორციელდება სხვა მთლიანი შემოსავლის პუნქტში, ინვესტიციის აღიარების გაუქმებამდე ან ინვესტიციის გაუფასურებამდე, რა დროსაც კრებისითი მოგება ან ზარალი სხვა მთლიანი შემოსავლის პუნქტიდან მოცემული წლის შემოსავალში ან ზარალში გადაიტანება. გაუფასურების ზარალი აღირიცხება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც ის დადგა სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი შემთხვევის შედეგად (“ზარალის შემთხვევები”). წილობრივი ფასიანი ქაღალდის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი დაცემა მის ღირებულებაზე ქვემოთ იმის მაჩვენებელია, რომ წილობრივი ფასიანი ქაღალდი გაუფასურდა. კუმულაციური გაუფასურების ზარალი – გაანგარიშებული, როგორც სხვაობა შეძენის ფასსა და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, მინუს მოგებაში ან ზარალში მანამდე აღიარებულ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალი – გადაიტანება სხვა მთლიანი მოგებიდან და მოცემული წლის შემოსავალში ან ზარალში აიღება. წილობრივი ფასიანი ქაღალდების გაუფასურების ზარალი არ რევერსირდება და ნებისმიერი შემდგომი მოგება აღიარებულია სხვა მთლიან მოგებაში. თუ მომდევნო პერიოდში იმ სავალ ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი, იზრდება და ეს ზრდა ობიექტურად შეიძლება დაუკავშირდეს გაუფასურების შემოსავალში ან ზარალში აღიარების შემდეგ მომხდარ შემთხვევას, გაუფასურების ზარალი რევერსირდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ის ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად ან ორივე მიზნით და რომელიც დაკავებული არ არის ჯგუფის მიერ. საინვესტიციო ქონებაში შედის მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოყენების მიზნით მშენებარე აქტივები.

საინვესტიციო ქონება აისახება თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის რეზერვის გამოკლებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ საინვესტიციო ქონება შეიძლება გაუფასურდეს, ჯგუფი დაიანგარიშებს ამოღებად ღირებულებას შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულების სახით: გამოყენების ღირებულება, და სამართლიანი ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ამოღებად ღირებულებამდე წლის მოგებაში ან ზარალში გატარებით. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის ამოღებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

მიღებული საიჯარო შემოსავალი აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავლის პუნქტში.

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები მითითებულია თვითღირებულებით, აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ასახულია გადაფასებული ღირებულებებით ისე, როგორც ეს ქვემოთაა მითითებული.

შენობა-ნაგებობები ექვემდებარება გადაფასებას იმისათვის, რომ საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ აღემატებოდეს იმას, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულების გამოყენებით იქნებოდა მიღებული. გადაფასებით გამოწვეული საბალანსო ღირებულების ზრდა აღირიცხება სხვა მთლიან შემოსავალში და ზრდის გადაფასებიდან მიღებულ ნამეტს კაპიტალში. შემცირება, რომელიც ანეიტრალურს იმავე აქტივის წინა ზრდას, აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში და ამცირებს კაპიტალის გადაფასებით გამოწვეულ მანამდე აღიარებულ ნამეტს; ყველა სხვა შემცირება დაერიცხება წლის მოგებას ან ზარალს. კაპიტალში შეტანილი შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გადაფასების რეზერვი გადადის პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში ან აკუმულირებულ დეფიციტში აქტივის გასვლისას ან განკარგვისას გადაფასებით მიღებული ნამეტის რეალიზაციისას.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწვევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება და ამოცვლილი ნაწილი გავა.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ვოლოდ ხელმძღვანელობა აფასებს, ხო მარ არსებობს შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის სამართლიანი ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში იმ პირობით, თუ ის აღემატება წინა გადაფასებით გამოწვეულ ნაზარდს კაპიტალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის ამოღებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

განკარგვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზაცია. მიწას და დაუსრულებელ მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება სწორხაზოვანი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	50
საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობები	5
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებები	1 to 7
ავტომაქსანები	5
სხვა	10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც ჯგუფი ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის არამატერიალური აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერული პროგრამებს და *ლიცენზიებს*. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენაზე და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად მათი ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება ამგვარი ხარჯების გადებისას. კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამებს ამორტიზაცია ერიცხება სწორხაზოვან საფუძველზე მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადაში, რომელიც 10 წელს შეადგენს.

საოპერაციო იჯარები. როდესაც ჯგუფი არის მოიჯარე იჯარაში, რომელიც არ ითვალისწინებს საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის მეიჯარიდან ჯგუფისთვის გადაცემას, მთლიანი გადახდილი საიჯარო თანხები აღირიცხება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში (საიჯარო ხარჯი) სწორხაზოვანი მეთოდით საიჯარო ურთიერთობის ვადაში.

სხვა ხელშეკრულებებში შეტანილი იჯარები გამოცალკევებულია, თუ (ა) გარიგების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე და (ბ) გარიგება ითვალისწინებს აქტივით სარგებლობის უფლების გადაცემას.

საოპერაციო იჯარის ფარგლებში აქტივის იჯარით გაცემისას, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე მისაღები მისაღები თანხების აღიარება ხდება საიჯარო შემოსავლის სახით, სწორხაზოვანი მეთოდით საიჯარო ურთიერთობის ვადაში.

სხვა ბანკებიდან ნასესხები სახსრები. სხვა ბანკებიდან ნასესხები სახსრები აღირიცხება, როდესაც ფული ან სხვა აქტივები ჯგუფს წინასწარ გადაეცემა კონტრაგენტი კრედიტორების მიერ. არაწარმოებული ვალდებულება აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის საკუთარ ვალს, ვალდებულება საბალანსო ანგარიშებიდან ამოიღება და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ ანაზღაურებას შორის შეიტანება მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიქმნა ვალის მანამდე გადახდისგან.

კლიენტთა ანგარიშები. კლიენტთა ანგარიშები მოიცავს ფიზიკური პირების, სახელმწიფო ან კორპორაციული კლიენტების მიმართ არსებულ არაწარმოებულ ვალდებულებებს და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

სუბორდინირებული ვალი. სუბორდინირებული ვალი მოიცავს გრძელვადიან არაწარმოებულ ფინანსურ დავალიანებას და აისახება ამორტიზებული ღირებულებით. სუბორდინირებული ვალის დაფარვა ხდება ლიკვიდაციისას ყველა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ და შეტანილია ბანკის მე-2 რიგის კაპიტალში.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის, სავალუტო კონტრაქტები, საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებული, ფორვარდული განაკვეთის ხელშეკრულებები, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის სვოპები, და სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის ოფციონები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით.

გარდა ამისა, ჯგუფი კონტრაგენტ ბანკებთან ახორციელებს ანაბრების ჩათვლას ვალუტის გადასახურდავებლად. ამგვარი ანაბრები, თუმცა სამართლებრივად განცალკევებულია, ჯამდება და ერთ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტად (ვალუტის გაცვლა) აღირიცხება წმინდა ღირებულებით, სადაც (i) ანაბრები ფორმდება იმავე დროს და ერთმანეთის გათვალისწინებით, (ii) მათი კონტრაგენტი ერთი და იგივე მხარეა; (iii) ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე რისკთან და (iv) ამ ოპერაციების ფორმულირებას არ აქვს ისეთი აშკარა მიზანი, რომელიც ერთი ოპერაციის ფარგლებშიც კერ მიიღწეოდეს.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხება აქტივებად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია, ხოლო ვალდებულებად, როდესაც სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ცვლილებები წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში (მოგება მინუს ზარალი დერივატივებზე). ჯგუფი არ იყენებს პეჯის აღრიცხვას.

საშემოსავლო გადასახადები. საშემოსავლო გადასახადები ფინანსურ ანგარიშებში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. საშემოსავლო გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშები ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. საშემოსავლო გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება ადმინისტრაციული და სხვა საქსპლუატაციო ხარჯებში.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანასთან და დროებით სხვაობებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება აქტივებისა და პასივების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, ფინანსური ანგარიშების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარების გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ბალანსები გაანგარიშდება საანგარიშო პერიოდში ან შემდგომში მიღებული იმ საგადასახადო განაკვეთებით მიხედვით, რომლებიც გამოიყენება იმ პერიოდთან მიმართებით, როდესაც დროებითი სხვაობები რევერსირდება ან გამოიყენება საგადასახადო ზარალის გადატანა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები დაქვითვად დროებით სხვაობებთან და გადატანილ საგადასახადო ზარალთან მიმართებაში აისახება იმ პირობით, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ იქნება მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლებიდანაც შესაძლებელი იქნება გამოქვითვების განხორციელება.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აღიარება არ ხდება შეძენილ შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაზე და შეიძლება საწარმოთა რეზერვებში შეძენის შემდგომ სხვა მოძრაობებზე, თუ ჯგუფი აკონტროლებს შეიძლებული საწარმოს დივიდენდების პოლიტიკას და სავარაუდოა, რომ ამგვარი სხვაობა უახლოეს მომავალში არ შეიცვლება დივიდენდებით ან სხვაგვარად.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როცა წარსული მოვლენების შედეგად ჯგუფს აქვს მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ამ ვალდებულების დასაფარად, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ გაანგარიშება.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

საწესდებო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები განეკუთვნება კაპიტალს. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ასახულია კაპიტალში, გადასახადების გარეშე, როგორც გამოქვითვა შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ნამეტი აღირიცხება კაპიტალში აქციის პრემიის სახით.

დივიდენდები. დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში. ბანკის კანონით გათვალისწინებულია ღირცხვის ანგარიშები არის მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველი.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება. ყველა სავალ ინსტრუმენტის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის ნაწილის სახით გადაავადებს კონტრაქტის მხარეებს შორის მიღებულ ან გადახდილ ყველა მოსაკრებელს, რომლებიც არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო ხარჯის და ყველა სხვა პრემიის ან ფასდაკლების განუყოფელი ნაწილი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი საკომისიოები მოიცავს პირის მიერ გადახდილ ან მიღებულ კრედიტის ორგანიზების საკომისიოს, ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შექმნასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად, საკომისიო კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, უზრუნველყოფის ან გარანტიების აღრიცხვისა და შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგების დოკუმენტების დამუშავებისთვის. სესხის ორგანიზებისთვის ბანკის მიერ საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მიღებული ვალდებულების საკომისიო არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილი, თუ შესაძლებელია, რომ ჯგუფმა გააფორმოს სპეციალური დაკრეტების ხელშეკრულება და არ აპირებს შედეგობრივი სესხის წარმოქმნიდან მოკლე ხანში გაყიდვას. ჯგუფი სესხის გაცემის ვალდებულებებს არ აღრიცხავს ფინანსურ ვალდებულებებში სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში.

თუ საჭკო გახდება სესხების და სხვა სავალ ინსტრუმენტების ამოღება, ისინი ჩამოიწერება მოსალოდნელი ფულადი სახსრების მოძრაობის მიმდინარე ღირებულებამდე და ამის შემდეგ საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მიმდინარე ღირებულების დისკაუნტის აქტივების იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განხორციელებისთვის, რომელიც გამოყენებული იყო გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად.

ყველა სხვა მოსაკრებლის, საკომისიოს და სხვა შემოსავლის და ხარჯის მუხლი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, კონკრეტული ტრანზაქციის დასრულების მითითებით, რომელზეც დარიცხვა ხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფუძველზე, მთლიანი გასაწევი მომსახურების პროპორციულად. სესხის სინდიცირების საკომისიოები შემოსავალში აიღება სინდიცირების დასრულებისას და ჯგუფი თავისთან არ იყოვებს სესხის პაკეტის რაიმე ნაწილს, ან ნაწილს დაიტოვებს იმავე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, როგორითაც სხვა მონაწილეებისთვის.

მესამე მხარის სასარგებლოდ გარიგებაზე (მაგალითად, სესხების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენის, ან საქმიანობის ყიდვის ან გაყიდვის შესახებ) მოლაპარაკებიდან ან მოლაპარაკებაში მონაწილეობიდან გამომდინარე საკომისიოები, და რომელთა მიღებაც ხდება ძირითადი გარიგების გაფორმებისას, აისახება გარიგების დასრულებისას. ფორტფელისა და სხვა მენეჯმენტის კონსულტაციისა და მომსახურების საკომისიოები ეფუძნება მომსახურების შესახებ შესაბამის ხელშეკრულებებს, ჩვეულებრივ დროის პროპორციულად. აქტივების მართვის საკომისიოები, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ფონდებთან, აისახება თანაბარზომიერად მომსახურების გაწევის პერიოდის განმავლობაში. იგივე პრინციპი გამოიყენება სიმდიდრის მართვის, ფინანსური დაგეგმვისა და შენახვის მომსახურების შემთხვევაშიც, რადგან ამგვარი მომსახურების გაწევა დროის ერცელი პერიოდში ხორციელდება.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტაში გადაანგარიშება. ჯგუფში შემავალი თითოეული სუბიექტის საოპერაციო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც აღნიშნული საწარმო ახორციელებს საქმიანობას. ბანკისა და მისი შვილობილი საწარმოების საოპერაციო ვალუტა და ჯგუფის საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები თითოეული სუბიექტის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (როგორც საკურსო მოგებას მინუს საკურსო ზარალი). კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით წარმოდგენილ არაფულად პუნქტებთან დაკავშირებით.

სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

სავალუტო კურსის ცვლილების გაგვლენა სამართლიან ღირებულებით წარმოდგენილ არაფულად პუნქტებზე აღირიცხება როგორც სამართლიანი ღირებულების მოგების ან ზარალის ნაწილი.

ჯგუფის სუბიექტებს შორის სესხები და ამ სესხებთან დაკავშირებული საკურსო მოგება ან ზარალი აღმოიფხვრება კონსოლიდაციისას.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ბალანსების გადაყვანისთვის იყო: 1 აშშდ = 1.7363 ლარი (2012 წელს: 1 აშშდ = 1.6567 ლარი); 1 ევრო = 2.3891 ლარი (2012: 1 ევრო = 2.1825 ლარი).

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და გამიზნულია დარეგულირდეს ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

პერსონალის შენახვის ხარჯები და პერსონალთან დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, გასამრჯელოები, გადახდილი ყოველწლიური შვებულების და ავადმყოფობის გამო შვებულების, ბონუსები და არაფულადი დახმარებები დარიცხულია იმ წელს, როდესაც შესაბამის მომსახურებებს უზრუნველყოფენ ჯგუფის თანამშრომლები.

სს “ზაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებები ანგარიშის წარმოდგენაში და შეცდომების გასწორება. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ციფრები დაკორექტირდა (ა) მიმდინარე წლის თანხებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ან (ბ) წინა პერიოდის შეცდომების გასწორების მიზნით. ანგარიშგებისა და შეცდომების გასწორების მიზნით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში კლასიფიკაციების შეცვლით გამოწვეული ცვლილებები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ თანხებში შემდეგია:

ათას ლარში	თავდაპირველად წამოღებული	კლასიფიკ. შეცვლა	შეცდომის გასწორება	2012 წლის 31 დეკემბ. მდგომ. შეცვლილი კლასიფიკაციით
ფული და ფულადი ეკვივალენტები	12,985	19,618	-	32,603
სებ-იდან მისაღები სახსრები	18,301	(18,301)	-	-
სებ-ში განთავსებული ფულადი სახსრები	-	12,943	-	12,943
სხვა ბანკებიდან მისაღები სახსრები	14,525	(14,260)	-	265
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	94,525	8	-	94,533
სხვა ფინანსური აქტივები	-	406	-	406
სხვა აქტივები	10,400	5,698	(1,144)	14,954
სარეალიზაციოდ განკუთვნილი არამიმდინარე აქტივები	5,973	(5,973)	-	-
ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	20,668	-	(801)	19,867
ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები	-	167	-	167
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	284	-	284
სხვა ვალდებულებები	1,175	(312)	-	863
სუბორდინირებული ვალი	3,319	-	(343)	2,976

ანგარიშგებისა და შეცდომების გასწორების მიზნით 2012 წლის მოგება-ზარალისა და სხვა მთლიანი შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშში კლასიფიკაციების შეცვლით გამოწვეული ცვლილებები შემდეგია:

ათას ლარში	თავდაპირველად წამოღებული	კლასიფიკ. შეცვლა	შეცდომის გასწორება	2012 წლისთვის შეცვლილი კლასიფიკაციით
საპროცენტო შემოსავალი	15,032	(10)	1,842	16,864
საპროცენტო ხარჯი	(7,619)	(97)	-	(7,716)
სესხის გაუფასურების რეზერვი	-	(890)	-	(890)
საკომისიო შემოსავალი	3,335	-	(561)	2,774
საკომისიო ხარჯი	(1,718)	198	-	(1,520)
წმინდა საკურსო შემოსავალი	1,759	(1,759)	-	-
უცხოური ვალუტით ვაჭრობის მოგება მინუს ზარალი	-	1,791	-	1,791
უცხოურ ვალუტაში გადაყვანის მოგება მინუს ზარალი	-	(32)	-	(32)
კრედიტებთან დაკავშირებული ვალდებულებების რეზერვი	-	98	-	98
გაუფასურების ზარალი	(71)	71	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,592	674	(1,281)	985
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,395)	(5,591)	-	(8,986)
პერსონალის ხარჯები	(5,547)	5,547	-	-

ანგარიშგებისა და შეცდომების გასწორების მიზნით 2012 წლის ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშში კლასიფიკაციების შეცვლით გამოწვეული ცვლილებები შემდეგია:

ათას ლარში	თავდაპირველად წამოღებული	კლასიფიკ. შეცვლა	შეცდომის გასწორება	2012 წლისთვის შეცვლილი კლასიფიკაციით
ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	21,854	3,001	-	24,855
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული	(18,600)	6,613	(170)	(12,157)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული	(7,202)	(443)	-	(7,645)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფული	26,940	(172)	170	26,938
სავალუტო კურსის ცვლილების ზემოქმედება ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე	612	-	-	612
ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის ბოლოს	23,604	8,999	-	32,603

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

ანგარიშგებისა და შეცდომების გასწორების მიზნით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში კლასიფიკაციების შეცვლით გამოწვეული ცვლილებები 2012 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით არსებულ თანხებში შემდეგია:

ათას ლარში	თავდაპირველად წამოღებული	კლასიფიკ. შეცვლა	შეცდომის გასწორება	2012 წლის 1-ლი იანვ. მდგომ. შეცვლილი კლასიფიკაციით
ფული და ფულადი ეკვივალენტები	11,747	13,108	-	24,855
სებ-იდან მისაღები სახსრები	13,128	(13,128)	-	-
სებ-ში განთავსებული ფულადი სახსრები	-	9,569	-	9,569
სხვა ბანკებიდან მისაღები სახსრები	9,906	(9,549)	-	357
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	72,264	2	-	72,266
სხვა ფინანსური აქტივები	-	1,289	-	1,289
სხვა აქტივები	13,388	927	(1314)	13,001
სარეალიზაციოდ განკუთვნილი არამიმდინარე აქტივები	1,952	(1,952)	-	-
სხვა ბანკებისთვის გადასახდელი თანხები	5,353	5,502	-	10,855
გამოსყიდვის ხელშეკრულებებით გადასახდელი თანხები	5,502	(5,502)	-	-
ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	18,470	-	(811)	17,659
ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები	-	266	-	266
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	1,521	-	1,521
სხვა ვალდებულებები	1,711	(1,521)	-	190
სუბორდინირებული ვალი	3,462	-	(503)	2,959

ანგარიშგებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

- 2013 წელს ბანკმა შეცვალა ფულისა და ფულადი ეკვივალენტების აღრიცხვის პოლიტიკა და ახლა ფულსა და ფულადი ეკვივალენტებში შედის სხვა ბანკებში განთავსებული სახსრები, რომელთა საწყისი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია. პოლიტიკაში აღნიშნული ცვლილების შეტანის შედეგად, სხვა ბანკებში განთავსებული სახსრები 14,260 ათასი (2011: 9,548 ათასი) ლარის ოდენობით, რომელთა საწყისი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია, მიეკუთვნა ფულსა და ფულად ეკვივალენტებს.
- სებ-იდან მისაღები სახსრები 5,358 ათასი ლარის (2011: 3,559 ათასი ლარი) ოდენობით შეტანილ იქნა ფულში და ფულად ეკვივალენტებში ფულისა და ფულადი ეკვივალენტების უკეთ წარმოსადგენად.
- სებ-ში განთავსებული სავალდებულო სახსრები 12,943 ათასი (2011: 9,569 ათასი) ლარის ოდენობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილი იყო ცალკე პუნქტად, რადგან ამ სახსრების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.
- სარეალიზაციოდ განკუთვნილ არამიმდინარე აქტივებად წარმოდგენილ გამოსყიდვის უფლებადკარგულ დატვირთულ ქონებას 5,973 ათასი (2011: 1,952 ათასი) ლარის ოდენობით შეეცვალა კლასიფიკაცია და აღრიცხვის პოლიტიკაში შეტანილი ცვლილების შედეგად ახლა ის მიეკუთვნება სხვა აქტივებს.
- 2012 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით გამოსყიდვის ხელშეკრულებებით გადასახდელი თანხები 5,502 ათასი ლარის ოდენობით ახლა აისახება სხვა ბანკებისთვის გადასახდელ თანხებში სხვა ბანკებისთვის გადასახდელ თანხების უკეთესად ანგარიშგების მიზნით.
- წმინდა საკურსო შემოსავალი 1,759 ათასი ლარის ოდენობით წარმოდგენილია ორი დამოუკიდებელი პუნქტით: უცხოური ვალუტით ვაჭრობის მოგება მინუს ზარალი 1,791 ათასი ლარის ოდენობით და უცხოურ ვალუტაში გადაყვანის მოგება მინუს ზარალი 32 ათასი ლარის ოდენობით.
- პერსონალის ხარჯები 5,547 ათასი ლარის ოდენობით, რომლებიც ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშში ადრე დამოუკიდებელ პუნქტად იყო წარმოდგენილი, ახლა შეტანილია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.
- სესხის გაუფასურების ზარალი 890 ათასი ლარის ოდენობით, რომლებიც ადრე გაუფასურების ზარალში იყო შეტანილი, ახლა ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშში დამოუკიდებელ პუნქტადაა წარმოდგენილი.
- სხვა აქტივების გაუფასურებია ზარალის ამოღება 730 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ადრე გაუფასურების ზარალში იყო შეტანილი, ახლა წარმოდგენილია სხვა საოპერაციო შემოსავალში.
- სხვა ფინანსური აქტივები 406 ათასი (2011: 1,289 ათასი) ლარის ოდენობით, რომლებიც ადრე სხვა აქტივებში იყო შეტანილი, ახლა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში სხვა ფინანსური აქტივების დამოუკიდებელ პუნქტადაა წარმოდგენილი.
- სხვა ფინანსური ვალდებულებები 284 ათასი (2011: 1,521 ათასი) ლარის ოდენობით, რომლებიც ადრე სხვა ვალდებულებებში იყო შეტანილი, ახლა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში სხვა ფინანსური ვალდებულებების დამოუკიდებელ პუნქტადაა წარმოდგენილი.

სს “ზაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

გასწორდა შემდეგი შეცდომები:

- სესხის ორგანიზების გადახდილი საკომისიოების არაამორტიზირებული ბალანსი 343 ათასი ლარის ოდენობით (2011: 503 ათასი ლარი), რომლებიც ადრე სხვა ატივებში იყო შეტანილი, ახლა წარმოდგენილია სუბორდინირებულ ვალად, რადგან ბასს 39-ის თანახმად ისინი ამორტიზირებული ღირებულების ნაწილია.
 - სესხის ორგანიზების გადახდილი საკომისიოების არაამორტიზირებული ბალანსი 801 ათასი ლარის ოდენობით (2011: 811 ათასი ლარი), რომლებიც ადრე სხვა ატივებში იყო შეტანილი, ახლა წარმოდგენილია ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხებ სახსრებად, რადგან ბასს 39-ის თანახმად ისინი ამორტიზირებული ღირებულების ნაწილია.
- სესხების წინსწრებით დაფარვის ჯარიმა 255 ათასი ლარის ოდენობით და სესხების გადაგადაცემების ჯარიმები 1,026 ათასი ლარის ოდენობით, რომლებიც ადრე სხვა საოპერაციო შემოსავალში იყო შეტანილი, ახლა აღებულია საპროცენტო შემოსავალში. სესხების გაცემის საკომისიოები 561 ათასი ლარის ოდენობით, რომლებიც ადრე საკომისიო შემოსავალში იყო შეტანილი, ახლა აღებულია საპროცენტო შემოსავალში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის წარმოდგენა ლიკვიდობის მიხედვით. ჯგუფს არა აქვს მკაფიოდ განსაზღვრული საოპერაციო ციკლი და, აქედან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მიმდინარე და არამიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებს ცალკე-ცალკე არ ასახავს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ანგარიშების პერიოდებიდან 12 თვემდე ან 12 თვის შემდეგ მოსალოდნელ ამოსაღებ ან დასაფარ თანხებს.

ათას ლარში	2013 წლის 31 დეკემბერი			2012 წლის 31 დეკემბერი		
	მოსალოდნელი ამოსაღები ან გასაქვითი თანხები			მოსალოდნელი ამოსაღები ან გასაქვითი თანხები		
	ანგარიშების პერიოდებიდან 12 თვის ვადაში	ანგარიშების პერიოდებიდან 12 თვის შემდეგ	სულ	ანგარიშების პერიოდებიდან 12 თვის შემდეგ	ანგარიშების პერიოდებიდან 12 თვის ვადაში	სულ
აქტივები						
ფული და ფულადი ეკვივალენტები	59,506	-	59,506	32,603	-	32,603
სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრები	21,805	-	21,805	12,943	-	12,943
სხვა ბანკებიდან მისაღები სახსრები	-	-	-	265	-	265
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	63,639	124,900	188,539	35,256	59,277	94,533
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	93,512	63	93,575	28,809	63	28,872
საინვესტიციო ქონება	-	1,802	1,802	-	1,055	1,055
არამატერიალური აქტივები	-	668	668	-	199	199
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	-	15,925	15,925	-	14,882	14,882
სხვა ფინანსური აქტივები	435	-	435	406	-	406
სხვა აქტივები	1,886	7,262	9,148	6,811	8,143	14,954
სულ აქტივები	240,783	150,620	391,403	117,093	83,619	200,712
ვალდებულებები						
ბანკებში განთავსებული დეპოზიტები და თანხები	25	-	25	5,318	-	5,318
კლიენტთა ანგარიშები	223,078	8,286	231,364	111,627	4,436	116,063
ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	21,088	9,101	30,189	9,731	10,136	19,867
საშემოსავლო გადასახადის მიმდინარე ვალდებულება	1,281	-	1,281	-	-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	-	1,506	1,506	-	1,025	1,025
ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები	22	-	22	167	-	167
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,789	-	1,789	284	-	284
სხვა ვალდებულებები	1,264	-	1,264	863	-	863
სუბორდინირებული ვალი	-	3,165	3,165	-	2,976	2,976
სულ ვალდებულებები	248,547	22,058	270,605	127,990	18,573	146,563

გამოქვეყნების შემდეგ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში ცვლილებების შეტანა. ბანკის აქციონერებს და მენეჯმენტს აქვს გამოქვეყნების შემდეგ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში შეტანილი ცვლილებების შეტანის უფლება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

ჯგუფი იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომელიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

გაუფასურების ზარალი სესხებზე და ავანსებზე. ჯგუფი რეგულარულად განიხილავს საკრედიტო პორტფელს გაუფასურების დარიცხვის მიზნით. იმის გადასაწყვეტად, გაუფასურების ზარალი მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში უნდა აღირიცხოს თუ არა, ჯგუფი აკეთებს შეფასებას, არსებობს თუ არა დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებს რომ არსებობს გაზომვადი შემცირება საკრედიტო პორტფელიდან მისაღებ საანგარიშო მომავალ ფულადი სახსრების მოძრაობაში, სანამ შესაძლებელი იქნება შემცირების დადგენა აღნიშნულ პორტფელში შემავალ ცალკეულ სესხში. აღნიშნული მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს დაკვირვებად მონაცემებს, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში შემავალი მსესხებლების გადახდის მდგომარეობაში მოხდა უარყოფითი ცვლილება, ან ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალი აქტივების გადაუხდელობას. მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზირებისას ხელმძღვანელობა იყენებს პროგნოზებებს, რომლებიც ეფუძნება საკრედიტო რისკის დამახასიათებელი ნიშნების მქონე, პორტფელში შემავალი აქტივების მსგავსი, აქტივების ისტორიული ზარალის გამოცდილებას და გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას. მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობის თანხის და დროის პროგნოზისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია და დაშვებები რეგულარულად განიხილება საანგარიშო ზარალსა და ფაქტობრივი ზარალს შორის არსებული სხვაობების შემცირების მიზნით.

საანგარიშო ზარალთან შედარებით ფაქტობრივი ზარალის 10%-იანი ზრდა ან კლება შესაბამისად გამოიწვევდა სესხის გაუფასურების ზარალში ზრდას ან კლებას 510 ათასი ლარის ოდენობით (2012 წელს: 420 ათასი ლარი). ცალკეული მნიშვნელოვანი სესხების გაუფასურების ზარალები ეფუძნება ცალკეული სესხის სამომავლო დისკონტირებული ფულადი ნაკადების პროგნოზებს, დაფარვებისა და სესხების უზრუნველყოფის სახით ჩადებული აქტივების რეალიზაციის გათვალისწინებით. ფაქტობრივ ზარალში 10%-იანი ზრდა ან კლება ცალკეული მნიშვნელოვანი სესხიდან დისკონტირებული სამომავლო ფულადი ნაკადების პროგნოზებთან შედარებით, რომლებიც შეიძლება დადგეს ფულადი ნაკადების თანხებში და ვადებში დამდგარი სხვაობებით, შესაბამისად გამოიწვევდა სესხის გაუფასურების ზარალში ზრდას ან კლებას 256 ათასი ლარის ოდენობით (2012 წელს: 185 ათასი ლარი).

დაკავშირებულ მხარესთან გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ბანკი გარიგებებს აფორმებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ით მოითხოვება, რომ ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მოხდეს სამართლიანი ღირებულებით. შეფასება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა შეფასებული თუ არა, სადაც ამგვარი გარიგებებისთვის მოქმედი ბაზარი არ არსებობს. შეფასების საფუძველია დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი სახის გარიგებების ფასი და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებული მხარეების ბალანსების პირობები წარმოდგენილია 35-ე განმარტებით შენიშვნაში.

საკუთარი სარგებლობის შენობა-ნაგებობების შეფასება. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის შენობა-ნაგებობები აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით დამოუკიდებელი შემფასებლის – შპს “საქართველოს შემფასებელი კომპანიის” დასკვნების საფუძველზე. შენობა-ნაგებობები სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისას, განისაზღვრა სამი საბაზრო შედარების ობიექტი. რადგან შედარების ობიექტები გარკვეულწილად განსხვავდებოდა შეფასებული ქონებისგან, შედარების ობიექტის კოტირებული ფასები კიდევ დაკორექტირდა მათი ადგილმდებარეობის, პირობის, ზომის, მისადგომობის, სიძველის, და გამყიდველებთან მოლაპარაკებების შედეგად მოსალოდნელი ფასდაკლებების გათვალისწინებით. ერთ კვადრატულ მეტრზე ამ მეთოდით განსაზღვრული შედარებითი ფასები შემდეგ მრავლდება შეფასებული ქონების ფართზე და მიიღება შენობა-ნაგებობის შეფასებული ღირებულება.

5 ახალი და შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების დამტკიცება

ქვემოთ წარმოდგენილი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები ჯგუფისთვის 2013 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა:

ფასს 10, ნაერთი ფინანსური ანგარიშები (გამოქვეყნებულია 2011 წლის მაისში და ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის), ცვლის ბასს 27-ით (“ნაერთი და ცალკეული ფინანსური ანგარიშები” და SIC-12 “კონსოლიდაცია – სპეციალური დანიშნულების სუბიექტები”) გათვალისწინებულ კონტროლთან და კონსოლიდაციასთან დაკავშირებულ ყველა სახელმძღვანელო მითითებას. ფასს 10-ით იცვლება კონტროლის განსაზღვრება ისე, რომ იგივე კრიტერიუმში ვრცელდება ყველა სუბიექტზე კონტროლის განსაზღვრის მიზნით. ამ განსაზღვრებას თან ახლავს პრაქტიკაში გამოყენების ვრცელი ინსტრუქცია. ამ სტანდარტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასს 11, ერთობლივი გარიგებები (გამოქვეყნებულია 2011 წლის მაისში და ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ცვლის ბასს 31-ს “წილები ერთობლივ საწარმოებში” და SIC-13 “ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტები – ინვესტირების მიერ განხორციელებული არაფულადი შენატანები”. დეფინიციების ცვლილებების შედეგად, ერთობლივი გარიგებების სახეები ორამდე შემცირდა: ერთობლივი ოპერაციები და ერთობლივი საწარმოები. ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტების პროპორციული კონსოლიდაციის არწევანის არსებული პოლიტიკა გაუქმდა. კაპიტალში მონაწილეობის მიხედვით აღრიცხვა აუცილებელია ერთობლივ საწარმოებში მონაწილეობისთვის. ამ სტანდარტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასს 12, სხვა სუბიექტებში წილის დეკლარირება (გამოქვეყნებულია 2011 წლის მაისში და ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) გამოიყენება იმ სუბიექტების მიმართ, რომლებიც ფლობენ წილს შეიღობილ კომპანიაში, ერთობლივ გარიგებაში, ასოცირებულ კომპანიაში ან არაკონსოლიდირებულ სუბიექტში. ამ სტანდარტით იცვლება ბასს 28-ით (“ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიაში”) ამჟამად გათვალისწინებული დეკლარირების მითხვენები. ბასს 12-ით სუბიექტებს მოეთხოვებათ თავიანთი ფინანსურ ანგარიშში ასახონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშის მკითხველს ეხმარება შეიღობილ კომპანიაში, ერთობლივ გარიგებებში, ასოცირებულ კომპანიაში ან არაკონსოლიდირებულ სუბიექტებში არსებული სუბიექტის წილების სასიათის, რისკებისა და ფინანსური შედეგების შეფასებაში. ამ მიზნით ახალი სტანდარტით მოითხოვება ინფორმაციის წარმოდგენა სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებით, მათ შორის: ის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრა სუბიექტი სხვა სუბიექტებში არსებულ თავის წილებს დამოუკიდებლად აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს თუ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათზე (წილებზე), ჯგუფის საქმიანობაში და ფულად ნაკადებში არასაკონტროლო წილების შესახებ ვრცელი ინფორმაცია, შემაჯამებელი ფინანსური ინფორმაცია მნიშვნელოვანი არასაკონტროლო წილების მქონე შეიღობილი კომპანიების შესახებ, და დეტალური ინფორმაცია არაკონსოლიდირებულ სუბიექტებში არსებული წილების შესახებ. ამ სტანდარტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასს 13, სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება (გამოქვეყნებულია 2011 წლის მაისში და ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) მიზნად ისახავს თანმიმდევრულობის გაუმჯობესებას და სირთულის გამარტივებას სამართლიანი ღირებულების მცნების შესწორებული დეფინიციის წარმოდგენით, და ფასს-ში სამართლიანი ღირებულების და დეკლარირების მოთხოვნების ერთიანი წყაროს გამოყენებას. ამ სტანდარტის შედეგად წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში წარმოდგენილია დამატებითი მონაცემები. იხილეთ 33-ე განმარტებითი შენიშვნა.

ბასს 27, დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშები (გამოქვეყნებულია 2011 წლის მაისში და ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) შეიცვალა და ახლა მისი მიზანია აღრიცხვისა და ნაგარიშების მოთხოვნების დადგენა შეიღობილ კომპანიაში, ერთობლივ საწარმოებში და ასოცირებულ კომპანიაში ინვესტირებასთან დაკავშირებით სუბიექტის მიერ დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშების მომზადებისას. კონტროლთან და ნაერთ ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითება შეიცვალა ფასს 10-ით “ნაერთი ფინანსური ანგარიშები”. ამ სტანდარტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე.

ბასს 28, ინვესტიციები ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში (გამოქვეყნებულია 2011 წლის მაისში და ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 28-ში შეტანილი ეს ცვლილება გამომდინარეობს ერთობლივ საწარმოებზე სტანდარტების საბჭოს პროექტიდან. პროექტის განხილვისას საბჭომ კაპიტალში მონაწილეობის მეთოდით ერთობლივ საწარმოებთან დაკავშირებული აღრიცხვის ბასს 28-ში შეტანა გადაწყვიტა იმიტომ, რომ ეს მეთოდი გამოიყენება როგორც ერთობლივი, ასევე ასოცირებული საწარმოების მიმართ. ამ გამოწვევის გარდა ყველა სხვა სახელმძღვანელო მითითება უცვლელი დარჩა. ამ სტანდარტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე.

5 ახალი და შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების დამტკიცება (გაგრძელება)

ცვლილებები ბასს 1-ში, ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა (გამოქვეყნებულია 2011 წლის ივნისში და ძალაში შედის 2012 წლის 1-ლი ივლისით და მას შემდეგ დაწესებული წლიური პერიოდებისთვის). აღნიშნული ცვლილებებით იცვლება სხვა ერთიან შემოსავალში წარმოდგენილი პუნქტები. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით სუბიექტებმა სხვა ერთიან შემოსავალში წარმოდგენილი პუნქტები ორ ჯგუფად უნდა დაყოს იმის მიხედვით მომავალში შესაძლებელია თუ არა მათი კლასიფიკაციის შეცვლა მოგებაში ან ზარალში აღება. ბასს 1-ით გამოყენებული სახელწოდება შეიცვალა შემდეგი სახელწოდებით: “მოგების ან ზარალის ანგარიში და სხვა ერთიანი შემოსავალი”. შეცვლილი სტანდარტის შედეგად შეიცვალა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები, მაგრამ მას გავლენა არ ჰქონია ტრანზაქციებისა და ბალანსების გაანგარიშებაზე.

ცვლილებები ბასს 19-ში, თანამშრომელთა შეღავათები (გამოქვეყნებულია 2011 წლის ივნისში და ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით და მას შემდეგ დაწესებული წლიური პერიოდებისთვის). აღნიშნული ცვლილებით მნიშვნელოვნად იცვლება განსაზღვრული საპენსიო შეღავათის ხარჯი და გათავისუფლების შეღავათების აღიარება და გაანგარიშება, აგრეთვე თანამშრომელთა ყველა შეღავათის ანგარიშგება. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება წმინდა განსაზღვრული შეღავათის ვალდებულებებში (აქტივში) მომხდარი ცვლილებების აღიარება ამგვარი ცვლილებების დადგომისას, შემდეგი სახით: (i) მომსახურების ხარჯი და წმინდა წილი მოგებაში ან ზარალში; და (ii) გადაანგარიშები სხვა მთლიან შემოსავალში. ჯგუფი ამ გაანგარიშებების აკუმულირებულ თანხას ასახავს კაპიტალში გაუნაწილებელი მოგების პუნქტში. ამ შეცვლილ სტანდარტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე.

ანგარიშგება – ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეგულირება – ცვლილებები ბასს 7-ში, (გამოქვეყნებულია 2011 წლის დეკემბერში და ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით და მას შემდეგ დაწესებული წლიური პერიოდებისთვის). აღნიშნული ცვლილების მიხედვით მოითხოვება იმ მონაცემების წარმოდგენა, რომლებიც სუბიექტის ფინანსური ანგარიშების მომხმარებელს დაეხმარება ურთიერთნათვლის გარიგებების, მათ შორის ჩათვლის უფლებების შედეგის ან პოტენციური შედეგის შეფასებაში. ამ სტანდარტის შედეგად წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში წარმოდგენილია დამატებითი მონაცემები. იხილეთ 31-ე განმარტებითი შენიშვნა.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გაუმჯობესებები (გამოქვეყნებულია 2012 წლის მაისში და ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით დაწესებული წლიური პერიოდებისთვის). ეს გაუმჯობესებები მოიცავს ხუთ სტანდარტში შესატან ცვლილებებს. ბასს 1 შეიცვალა: (i) იმის განმარტების მიზნით, რომ ის სუბიექტი, რომელიც ამზადებს თავის ფინანსურ ანგარიშებს ფასს-ის მიხედვით, უფლებამოსილია ან განმეორებით გამოიყენოს ფასს 1 ან რეტროსპექტულად გამოიყენოს ყველა ფასს სტანდარტი ისე, თითქოს მას არასოდეს შეეწყვიტოს მათი გამოყენება, და (ii) ფასს 23-ის (“საკრედიტო ხარჯები”) პირველად გამოყენებულების მიერ რეტროსპექტულად გამოყენების ვალდებულებიდან გათავისუფლების დასაბამებლად. ბასს 1 შეიცვალა იმის განმარტების მიზნით, რომ განმარტებითი შენიშვნები საჭირო არ არის წინა პერიოდის დასაწყისში მესამე საბალანსო უწყისის დასასაბუთებლად, როცა ის წარმოდგენილია იმიტომ, რომ მასზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რეტროსპექტულმა განმეორებითმა ანგარიშგებამ, აღრიცხვის პროცედურებში მომხდარმა ცვლილებებმა ან ანგარიშგების მიზნით განხორციელებულმა რეკლასიფიკაციებმა. განმარტებითი შენიშვნები საჭირო იქნება იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი ნებაყოფილობით წარმოადგენს დამატებით შედარებით ანგარიშებს. ბასს 16 შეიცვალა იმის განმარტების მიზნით, რომ ექსპლუატაციაში არსებული მოწყობილობა, რომელიც ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში გამოიყენება, მიეკუთვნება შენობა-ნაგებობებს და მოწყობილობებს და არა სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს. ბასს 32 შეიცვალა იმის განმარტების მიზნით, რომ მესაკუთრეებს შორის განხორციელებული განაწილებების განსაზღვრული საგადასახადო შედეგები მოგება ზარალის ანგარიშში უნდა აისახოს ისე, როგორც ეს ყოველთვის მოითხოვებოდა ბასს 12-ით. ბასს 34 შეიცვალა მისი მოთხოვნების ფასს 8-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მომავალში ბასს 34 მოითხოვს საოპერაციო სეგმენტთან მიმართებით მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილის ანგარიშგებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია რეგულარულად მიეწოდება საოპერაციო გადაწყვეტილების მთავარ მიმღებ პირს და უკანასკნელი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარმოდგენის შემდეგ ან ნაწილებში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება. ჯგუფს არ წარმოუდგენია განმარტებითი შენიშვნები ბასს 1-ში შეტანილი ცვლილების შედეგად შესაძარი პერიოდის ბოლოს წარმოდგენილ მესამე საბალანსო უწყისზე.

გარდამავალი სახელმძღვანელო ცვლილებები ფასს 10-ში, ფასს 11-ში და ფასს 12-ში (გამოქვეყნებულია 2012 წლის ივნისში და ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით დაწესებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებით განმარტებულია ფასს 10-ის (“კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები”) გარდამავალი სახელმძღვანელო მითითება. ფასს 10-ის მიმღებმა სუბიექტებმა კონტროლი უნდა შეაფასონ იმ წლიური პერიოდის ბოლოს, რომელშიც მოხდა ფასს 10-ის მიღება, და თუ ფასს 10-ის შესაბამისად გამოტანილი დასკვნა კონსულიდაციის თაობაზე განსხვავდება ბასს 27-ისგან ან SIC 12-ისგან, უშუალო წინა შესაძარი პერიოდის (ანუ 2012 წელი კალენდარული წლის ბოლოს იმ სუბიექტისთვის, რომელიც ფასს 10-ის 2013 წელს მიიღებს) ანგარიში ხელახლა მომზადდება, თუ ეს პრაქტიკულად შეუძლებელი არ არის. გარდა ამისა, ეს ცვლილებები ითვალისწინებს დამატებით გარდამავალ საშუალებათა მექანიზმს ფასს 10-ში, ფასს 11-ში (“ერთობლივი გარიგებები”) და ფასს 12-ში (სხვა სუბიექტებში არსებული წილების დეკლარირება) და ტოვებს მხოლოდ იმ მოთხოვნას, რომ კორექტირებული შედარებითი ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს მხოლოდ უშუალო წინა შესაძარ პერიოდთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ამ ცვლილებებით გაუქმდება ფასს-ის პირველად გამოყენებამდე არსებულ პერიოდებზე არაკონსოლიდირებულ სუბიექტებთან დაკავშირებით ანგარიშგებებისთვის შედარებითი ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნა. ამ შეცვლილ სტანდარტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე გარდა იმისა, რომ მოიხსნა ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნებში განსაზღვრული შედარებითი ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება.

5 ახალი და შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების დამტკიცება (გაგრძელება)

სხვა შესწორებული სტანდარტები და განმარტებები: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციის კომისიის (ფასსიკ) მე-20 განმარტება: “გადახსნის ხარჯები ღია მოპოვების წარმოების ეტაპზე” ითვალისწინებს სამთო-მოპოვებელ მრეწველობაში გადახსნის სამუშაოებიდან გამომდინარე სარგებლის აღრიცხვის დროსა და მეთოდს. ამ განმარტებას რაიმე გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე.

ცვლილებები ფასს 1-ში – “ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების პირველად მიღება – სამთავრობო სესხები” (გამოქვეყნებულია 2012 წლის მარტში და ძალაში შედის შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილებები, რომლებიც ეხება მთავრობისგან საბაზროზე დაბალ საპროცენტო განაკვეთში მიღებულ სესხებს, ფასს-ის პირველად მიმღებ სუბიექტებს ანიჭებს შედგავს – ათავისუფლებს ფასს-ის სრული რესტროსპექტული გამოყენების მოთხოვნისგან გარდამავალ პერიოდში ამ სესხების აღრიცხვისას. ეს ცვლილება ჯგუფს არ ეხება.

6 აღრიცხვის ახალი განცხადებები

გამოქვეყნდა სხვადასხვა ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც სავალდებულოდ გასათვალისწინებელია 2014 წლის 1 იანვარს ან შემდგომში დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც ბანკს ჯერ არ მიუღია.

ფასს 9, ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და გაანგარიშება. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული და 2010 წლის ოქტომბერში, 2011 წლის დეკემბერში და 2013 წლის ნოემბერში გადაამუშავებული სტანდარტების ძირითადი მახასიათებლები შემდეგია:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია უნდა განხორციელდეს ორ საანგარიშო კატეგორიად: ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომში გაანგარიშებაც სამართლიანი ღირებულებით უნდა განხორციელდეს, და ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომში გაანგარიშებაც ამორტიზებული ღირებულებით უნდა განხორციელდეს. გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს თავდაპირველი აღიარებისას. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია სუბიექტის ფინანსური ინსტრუმენტების მართვის ეკონომიკურ მოდელზე და მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.
- ამორტიზებული ღირებულებით ინსტრუმენტის შემდგომში გაანგარიშება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არის სავალდებულო ინსტრუმენტი და სრულდება შემდეგი ორივე პირობა: (i) სუბიექტის ეკონომიკური მოდელის მიზანია აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და (ii) აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის დასაფარად გადახდილ თანხებს (ანუ, მას მხოლოდ “სესხის ძირითადი ნიშან-თვისებები” აქვს). ყველა სხვა სავალდებულო ინსტრუმენტის გაანგარიშება უნდა განხორციელდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში.
- ყველა წილობრივი ინსტრუმენტის შემდგომში გაანგარიშება უნდა განხორციელდეს სამართლიანი ღირებულებით. გასაყვადად განკუთვნილი წილობრივი ინსტრუმენტების გაანგარიშება ხორციელდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში. ყველა სხვა წილობრივი ინსტრუმენტის შემთხვევაში, თავდაპირველი აღიარებისას მიიღება გამოუხმობადი გადაწყვეტილება სამართლიანი ღირებულებით ხელახალი გაანგარიშების შედეგად მიღებული არარეალიზებული და რეალიზებული მოგების ან ზარალის სხვა მთლიან შემოსავალში და არა მოგებაში ან ზარალში აღიარების მიზნით. დაუშვებელია სამართლიანი ღირებულებით ხელახალი გაანგარიშების შედეგად მიღებული მოგების ან ზარალის მოგებაში ან ზარალში განმეორებით აღება. ამგვარი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული იყოს ყოველი ცალკეული ინსტრუმენტის შემთხვევაში. დივიდენდები შემოსავალში ან ზარალში იღებენ, თუ ისინი წარმოადგენს საინვესტიციო უკუგებას.
- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან და გაანგარიშებასთან დაკავშირებით ბასს 39-ის მოთხოვნების უმრავლესობა უცვლელად იქნა გადატანილი ფასს 9-ში. ძირითადი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტს მოეთხოვება სხვა ერთიან შემოსავალში წარმოადგინოს მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღებული ფინანსური ვალდებულებების საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებების შედეგები.
- პეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შეიცვალა იმისათვის, რომ აღრიცხვა უფრო მჭიდროდ იყოს შეთანწყობილი რისკების მართვასთან. ამ სტანდარტით სუბიექტებს ეძლევათ უფლება აღრიცხვა აწარმოონ შემდეგი ორი მეთოდიდან ერთ-ერთით: ფასს 9-ის პეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენება და ბასს 39-ის გამოყენება ყველა პეჯის მიმართ, რადგან ამ ეტაპზე ეს სტანდარტი არ ითვალისწინებს მაკრო პეჯირების აღრიცხვას.

თუმცა 2013 წლის ნოემბერში ფასს 9-ში შევიდა ცვლილებები, რომლებითაც ამ სტანდარტის სავალდებულო ამოქმედების ვადა ამოღებულ იქნა. ჯგუფი არ აპირებს ფასს 9-ის არსებული ვერსიის მიღებას.

“ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჩათვლა” – ცვლილებები ბასს 32-ში (გამოქვეყნებულია 2011 წლის დეკემბერში და ძალაში შედის შედის 2014 წლის 1-ლი იანვრით ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებით გამოყენების ინსტრუქცია დაემატა ბასს 32-ს ჩათვლის ზოგიერთი კრიტერიუმის გამოყენებისას გამოვლენილი შეუსაბამოების დარეგულირების მიზნით. ეს მოიცავს ფრაზის – “ამჟამად აქვს ჩათვლის კანონიერად აღსრულებადი უფლება” – მნიშვნელობის განმარტებას და იმას, რომ ბრუტო ანგარიშსწორების ზოგი სისტემა შეიძლება წმინდა ანგარიშსწორებად ჩაითვალოს. ჯგუფი განიხილავს ამ ცვლილების შედეგებს და იმას, თუ რა ზემოქმედებას მოახდენს ეს ცვლილება ბანკზე.

6 აღრიცხვის ახალი განცხადებები (გაგრძელება)

“ცვლილებები ფასს 10-ში, ფასს 12-ში და ბასს 27-ში – საინვესტიციო სუბიექტები” (გამოქვეყნებულია 2012 წლის 31 ოქტომბერს და ძალაში შედის 2014 წლის 1-ლი იანვრით ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებით დადგენილია ცნება “საინვესტიციო სუბიექტის” განმარტება. საინვესტიციო სუბიექტი არის სუბიექტი, რომელიც

(i) ინვესტირებისგან იღებს სახსრებს მათთვის ინვესტიციების მართვის მომსახურების გაწევის მიზნით; (ii) ინვესტირების წინაშე კისრულობს ვალდებულებას, რომ მისი საქმიანობის მიზანია სახსრების ინვესტირება მხოლოდ კაპიტალის ზრდის ან საინვესტიციო შემოსავლის მიღების მიზნით, და (iii) მისი ინვესტიციების გაანგარიშებას და შეფასებას ახორციელებს სამართლიანი ღირებულებით. საინვესტიციო სუბიექტის ვალდებულებაა მისი შეიღობილი საწარმოების აღრიცხვა აწარმოოს სამართლიანი ღირებულებით და შედეგები ასახოს მოგებაში ან ზარალში, და განახორციელოს მხოლოდ იმ შეიღობილი საწარმოების კონსოლიდაცია, რომლებიც ახორციელებენ ამ სუბიექტის საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ მომსახურებას. ფასს 12 შეიცვალა და ამ ცვლილებით სავალდებულო გახდა ახალი მონაცემების ანგარიშგება, მათ შორის, იმ მნიშვნელოვანი შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებული იყო იმის დასადგენად, ესა თუ ის სუბიექტი იყო თუ არა საინვესტიციო სუბიექტი, აგრეთვე არაკონსოლიდირებული შეიღობილი საწარმოსთვის სამომავლოდ გასაწევი თუ უკვე გაცემული ფინანსური თუ სხვა სახის დახმარებისა. ჯგუფის აზრით, ეს ცვლილება გავლენას არ იქონიებს მის ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასი 21 – “გადასახადები” (გამოქვეყნებულია 2013 წლის 20 მაისს და ძალაში შედის 2014 წლის 1-ლი იანვრით ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ინტერპრეტაციით განიმარტა საშემოსავლო გადასახადის გარდა სხვა გადასახადის გადახდის ვალდებულების აღრიცხვის წესი. მაგალტელი მოვლენა, რომელიც წარმოშობს ვალდებულებას (პასივს), არის კანონმდებლობით განსაზღვრული მოვლენა, რომელიც ამ გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოშობს. ის ფაქტი, რომ სუბიექტი ეკონომიკურად იძულებულია საქმიანობა გააგრძელოს მომავალ პერიოდში ან ფინანსური ანგარიშები მოამზადოს მოქმედი საწარმოს დაშვებით, არ წარმოშობს რაიმე ვალდებულებას. აღიარების იგივე პრინციპები გამოიყენება შუალედურ და წლიურ ფინანსურ ანგარიშებშიც. ამ ინტერპრეტაციის გამოყენება საქმის საფაქტრო სქემებიდან გამომდინარე ვალდებულებების (პასივების) მიმართ ფაქტობრივია. ჯგუფის აზრით, ეს ცვლილება გავლენას არ იქონიებს მის ფინანსურ ანგარიშებზე.

ცვლილებები ბასს 36-ში – “ამოღებადი თანხის ანგარიშგება არაფინანსური აქტივების შემთხვევაში” (გამოქვეყნებულია 2013 წლის მაისში და ძალაში შედის 2014 წლის 1-ლი იანვრით ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის; უფრო ადრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ ფასს 13 გამოიყენება იმავე აღრიცხვისა და შედარების პერიოდში). ამ ცვლილებებით ამოღებულია ამოღებადი თანხის ანგარიშგების მოთხოვნა, როცა ფულადი სახსრების გამომწვევებელი ერთეული (CGU) მიიცავს გუდვილს ან განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს, მაგრამ გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია. ჯგუფის აზრით, ეს ცვლილება გავლენას არ იქონიებს მის ფინანსურ ანგარიშებზე.

ცვლილებები ბასს 39-ში – “წარმოებულების განახლება და პეჯირების აღრიცხვის გაგრძელება” (გამოქვეყნებულია 2013 წლის ნოემბერში და ძალაში შედის 2014 წლის 1-ლი იანვრით ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებით ნებადართულია პეჯირების აღრიცხვის გაგრძელება იმ შემთხვევაში, როცა წარმოებული, რომელიც განსაზღვრულია, როგორც პეჯირების ინსტრუმენტი, განახლდება (ანუ მხარეები თანხმდებიან თავდაპირველი კონტრაგენტი ჩაანაცვლონ ახალი კონტრაგენტით) კანონის ან მარეგულირებელი წესების გამო მთავარ კონტრაგენტთან ანგარიშსწორების დასასრულებლად, თუ სრულდება კონკრეტული მოთხოვნები. ჯგუფის აზრით ეს ცვლილება გავლენას არ იქონიებს მის ფინანსურ ანგარიშებზე.

ცვლილებები ბასს 19-ში – “განსაზღვრული საპენსიო სქემები: თანამშრომელთა შენატანები” (გამოქვეყნებულია 2013 წლის ივნისში და ძალაში შედის 2014 წლის 1-ლი იანვრით და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). აღნიშნული ცვლილების მიხედვით, ორგანიზაციებს ენიჭებათ უფლება თანამშრომელთა შენატანები შრომის ღირებულების შემცირებად აღიარონ იმ პერიოდში, როცა შესაბამისი თანამშრომლის შრომა შესრულდა, ნაცვლად ამ შენატანების შრომის პერიოდებისთვის მიკუთვნებისა იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლის შენატანების თანხა დამოკიდებული არ არის შრომის წლების რაოდენობაზე. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ სტანდარტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასს-ის 2012 წლის გაუმჯობესებები (გამოქვეყნებულია 2012 წლის დეკემბერში და ძალაში შედის 2014 წლის 1-ლი იანვრით ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს გაუმჯობესებები მოიცავს შეიღ სტანდარტში შესატან ცვლილებებს.

ფასს 2 შეიცვალა “აქციაზე უფლების მიღების პირობის” ტერმინის განმარტებისა და “განსაზღვრული მანუვრების მიღწევის პირობის” და “შრომის პირობის” ტერმინების ცალკე-ცალკე განმარტების მიზნით. ეს ცვლილება გამოიყენება წილობრივი ინსტრუმენტების საფუძველზე თანხების გადახდის ოპერაციების მიმართ, რომელთათვისაც გაცემის დღეა 2014 წლის 1-ლი იანვრის ან შემდგომი თარიღი.

ფასს 3 შეიცვალა იმის განმარტების მიზნით, რომ (1) შეპირობებული ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, რომელიც შეესაბამება ფინანსური ინსტრუმენტის განსაზღვრებას, კლასიფიცირდება ფინანსურ ვალდებულებად (პასივად) ან კაპიტალად, ბასს 32-ში მოცემული განმარტებების საფუძველზე, და (2) არაკაპიტალის სახით ყველა შეპირობებული ანაზღაურება, როგორც ფინანსური, ისევე არაფინანსური, იანგარიშება სამართლიანი ღირებულებით ყოველი ანგარიშგების დღე, სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების მოგებაში ან ზარალში აღიარებით. ფასს 3-ის ცვლილებები გამოიყენება იმ შერწყმებისთვის (გაერთიანებებისთვის), რომლებშიც შეძენის თარიღია 2014 წლის 1-ლი იანვრის ან შემდგომი თარიღი.

6 აღრიცხვის ახალი განცხადებები (გაგრძელება)

ფასს 8 შეიცვალა და მოითხოვება: (1) საოპერაციო სეგმენტების გაერთიანებისას მენუჯმენტის მიერ განხორციელებული შეფასებების ანგარიშგება, მათ შორის, იმ სეგმენტების აღწერა, რომლებიც გაერთიანდა და იმ ეკონომიკური ინდიკატორების აღწერა, რომლებიც შეფასდა იმის განსაზღვრისას, რომ გაერთიანებულს სეგმენტებს მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები აქვს, და (2) სეგმენტის აქტივების სუბიექტის აქტივებთან შეჯერება სეგმენტის აქტივების ანგარიშგებისას.

ფასს 13-ზე დასკვნების საფუძველი შეიცვალა და განიმარტა, რომ ფასს 13-ის გამოქვეყნებისას ბასს 39-იდან განსაზღვრული პუნქტების ამოღება არ მომხდარა მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებების და კრედიტორული დავალიანებების ანგარიშ-ფაქტურის თანხად გაანგარიშების შესაძლებლობის გასაუქმებლად იმ შემთხვევაში, როცა დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა.

ბასს 16 და ბასს 38 შეიცვალა და განიმარტა ის, თუ როგორ აინგარიშება მთლიანი საბალანსო ღირებულება და ნაერთი ცვეთა სუბიექტის მიერ გადაფასების მოდელის გამოყენებისას.

ბასს 24 შეიცვალა და მას დაკავშირებული მხარის სახით დაემატა ის სუბიექტი, რომელიც ანგარიშგება სუბიექტს ან ანგარიშგება სუბიექტის სათაო კომპანიას (“მმართველ სუბიექტს”) უწევს საკვანძო ხელმძღვანელთა მომსახურებას. გარდა ამისა, ცვლილებით სავალდებულო გახდა გაწეული მომსახურებისთვის მმართველი სუბიექტის მიერ ანგარიშგება სუბიექტზე დარიცხული თანხების დეკლარირება.

ამ ეტაპზე ჯგუფი განიხილავს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ის 2013 წლის გაუმჯობესებები (გამოქვეყნებულია 2013 წლის დეკემბერში და ძალაში შედის შედის 2014 წლის 1-ლი იანვრის ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს გაუმჯობესებები მოიცავს ოთხ სტანდარტში შესატან ცვლილებებს.

ფასს 1-ზე დასკვნების საფუძველი შეიცვალა და განიმარტა, რომ როცა ამა თუ იმ სტანდარტის ახალი ვერსია ჯერ სავალდებულო არ არის, მაგრამ ხელმისაწვდომია ადრეულ ეტაპზე მისაღებად, პირველად მიმღები უფლებამოსილია გამოიყენოს ან ძველი ან ახალი ვერსია იმ პირობით, რომ იგივე სტანდარტი გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში.

ფასს 3 შეიცვალა და განიმარტა, რომ ის არ ეხება ფასს 11-ის მიხედვით ერთობლივი საწარმოების შექმნის აღრიცხვას. ამ ცვლილებით ასევე განიმარტა, რომ საგნის გამონაკლისი გამოიყენება მხოლოდ უშუალოდ ერთობლივი საწარმოს ფინანსურ აღრიცხვებში.

ფასს 13 შეიცვალა და განიმარტა, რომ ფასს 13-ით გათვალისწინებული ფორტფელის გამონაკლისი, რომლითაც სუბიექტს აქვს უფლება წმინდა მეთოდით გაიანგარიშოს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულება, გამოიყენება ყველა იმ ხელშეკრულების (მათ შორის, არაფინანსური პუნქტების ყიდვის ან გაყიდვის შესახებ ხელშეკრულებების) მიმართ, რომლებიც განეკუთვნება ბასს 39-ის ან ფასს 9-ის საგანს.

ბასს 40 შეიცვალა და განიმარტა, რომ ბასს 40 და ფასს 3 ურთიერთგამომრიცხავი არ არის. ბასს 40-ში მოცემული ინსტრუქცია მომზადებულებს ეხმარება ერთმანეთისგან განარჩიონ საინვესტიციო ქონება და მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება. გარდა ამისა, მომზადებულებმა უნდა იხელმძღვანელონ ფასს 3-ში მოცემული მითითებით იმის განსაზღვრად, საინვესტიციო ქონების შეძენა არის თუ არა შერწყმა (გაერთიანება).

ამ ეტაპზე ჯგუფი განიხილავს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 14, მარეგულირებელი გადავადების ანგარიშები (გამოქვეყნებულია 2014 წლის იანვარში და ძალაში შედის შედის 2016 წლის 1-ლი იანვრის ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 14-ით პირველად მიმღებებს ეძლევათ უფლება ფასს-ის მირებისას გააგრძელონ ტარიფების რეგულირებასთან დაკავშირებული თანხების აღიარება მათი მანამდელი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველზე სტანდარტების (GAAP) მოთხოვნების მიხედვით. ამასთან, იმ სუბიექტებთან შესადარისობის გასაუმჯობესებლად, რომლებიც უკვე იყენებენ ფასს-ს და ამგვარი თანხების აღიარებას არ ახორციელებენ, ამ სტანდარტით მოითხოვება ის, რომ ტარიფების რეგულირებით გამოწვეული სხვაობა სხვა პუნქტებისგან განცალკევებით უნდა იყოს წარმოდგენილი. იმ სუბიექტს, რომელიც ფინანსურ ანგარიშებს უკვე ფასს-ის მიხედვით ამზადებს, არ აქვს ამ სტანდარტის გამოყენების უფლება.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, ეს ახალი სტანდარტები და განმარტებები მნიშვნელოვან გავლენას არ არ იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სს “პაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

7 ფული და ფულადი ეკვივალენტები

ათას ლარში	2013	2012
ხელზე არსებული ფული	18,201	12,985
სებ-ში განთავსებული ფული (გარდა სავალდებულო რეზერვებისა)	5,854	5,359
საკორესპოდენტო ანგარიშები და ერთდღიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში	11,446	5,256
სხვა ბანკებში განთავსებული დეპოზიტები სამ თვეზე ნაკლები საწყისი დაფარვის ვადით	24,005	9,003
სულ ფული და ფულადი ეკვივალენტები	59,506	32,603

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულისა და ფულადი ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხი Fitch-ის რეიტინგის მიხედვით შეიძლება შემდეგი სახით შეჯამდეს:

ათას ლარში	სებ-ში განთავსებული ფული (გარდა სავალდებულო რეზერვებისა)	საკორესპოდენტო ანგარიშები და ერთდღიანი დეპოზიტები	სხვა ბანკებში განთავსებული დეპოზიტები	სულ
არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული				
- საქართველოს ეროვნული ბანკი	5,854	-	-	5,854
- A-დან A+-მდე რეიტინგის	-	8,481	-	8,481
- A-ზე დაბალი რეიტინგის	-	2,416	19,005	21,421
- რეიტინგის არმქონე	-	549	5,000	5,549
სულ ფული და ფულადი ეკვივალენტები გარდა ხელზე არსებული ფულისა	5,854	11,446	24,005	41,305

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არაკლასიფიცირებული ბალანსები წარმოადგენს 2 ქართულ ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებს მთლიანობაში 5,098 ათასი ლარის ოდენობით და 5 არა-ეუთოს ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებს მთლიანობაში 451 ათასი ლარის ოდენობით (2012: 2 ქართულ ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებს მთლიანობაში 87 ათასი ლარის ოდენობით და 2 არა-ეუთოს ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებს მთლიანობაში 84 ათასი ლარის ოდენობით).

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულისა და ფულადი ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხი Fitch-ის რეიტინგის მიხედვით შემდეგია:

ათას ლარში	სებ-ში განთავსებული ფული (გარდა სავალდებულო რეზერვებისა)	საკორესპოდენტო ანგარიშები და ერთდღიანი დეპოზიტები	სხვა ბანკებში განთავსებული დეპოზიტები	სულ
არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული				
- საქართველოს ეროვნული ბანკი	5,359	-	-	5,359
- A-დან A+-მდე რეიტინგის	-	4,513	-	4,513
- A-ზე დაბალი რეიტინგის	-	572	9,003	9,575
- რეიტინგის არმქონე	-	171	-	171
სულ ფული და ფულადი ეკვივალენტები გარდა ხელზე არსებული ფულისა	5,359	5,256	9,003	19,618

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰყავდა კონტრაგენტი ბაკები (2012: არცერთი), რომელთა საერთო ფული და ფულადი ეკვივალენტების ნაშთები მთლიანი კაპიტალის 10%-ზე მეტი იქნებოდა.

ფული და ფულადი ეკვივალენტების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 28-ე განმარტებით შენიშვნაში. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 35-ე განმარტებით შენიშვნაში.

სებ-ში განთავსებული ფულის (გარდა სავალდებულო რეზერვებისა) ბალანსები წარმოადგენს სებ-ში განთავსებული ფულის იმ ბალანსებს, რომლებიც დაკავშირებულია ანგარიშსწორების საქმიანობასთან და ხელმისაწვდომი იყო წლის ბოლოს.

სს “გაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

8 საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სავალდებულო ფულის ბალანსები

საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სავალდებულო ფულის ბალანსები წარმოადგენს სებ-ში განთავსებულ თანხებს. რესიდენტ ფინანსურ ინსტიტუტებს მოეთხოვება სებ-ში პროცენტის სავალდებულო რეზერვის განთავსება, რომლის ხელმისაწვდომობაც შეზღუდულია და რომლის ოდენობაც დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოზიდული სახსრების მოცულობაზე.

2013 წელს Fitch Ratings-მა დაადასტურა, რომ საქართველოს მთავრობის მოკლევადიანი სუვერენული საკრედიტო რეიტინგი იყო “B”, ხოლო გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი – “BB-“.

9 სხვა ბანკებიდან მისაღები სახსრები

ათას ლარში	2013	2012
სხვა ბანკებში განთავსებული დეპოზიტები სამ თვეზე მეტი საწყისი დავარვის ვადით	-	265
სულ სხვა ბანკებიდან მისაღები სახსრები	-	265

სხვა ბანკებიდან მისაღები სახსრები მოიცავს სამ თვეზე მეტი საწყისი დავარვის ვადის მქონე დეპოზიტებს, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არის და 2012 წლის ბოლოს არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული.

10 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები

ათას ლარში	2013	2012
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	134,661	62,255
სამომხმარებლო სესხები	14,223	11,046
იპოთეკური სესხები	39,495	20,278
საკრედიტო ბარათები	5,259	5,154
მინუს: სესხის გაუფასურების რეზერვი	(5,099)	(4,200)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	188,539	94,533

2013 წლის განმავლობაში სესხის გაუფასურების რეზერვში მომხდარი ცვლილებები შემდეგია:

ათას ლარში	იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	სამომხმარებლო სესხები	იპოთეკური სესხები	საკრედიტო ბარათები	სულ
სესხის გაუფასურების რეზერვი 2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	2,797	394	800	209	4,200
წლის განმავლობაში ჩამოწერილი უიმედო თანხები	(687)	(54)	(18)	(101)	(860)
სესხის გაუფასურების რეზერვი წლის განმავლობაში *	1,263	12	384	100	1,759
სესხის გაუფასურების რეზერვი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,373	352	1,166	208	5,099

*2013 წლის განმავლობაში სესხის გაუფასურების რეზერვი განსხვავდება ამავე წლის მოგება-ზარალის ანგარიშში დეკლარირებული თანხისგან მანამდე უიმედო სესხის სახით ჩამოწერილი 475 ათასი ლარის ამოღების გამო. ამოღებული თანხა დაემატა უშუალოდ ამავე წლის მოგება-ზარალის ანგარიშის რეზერვების პუნქტს.

სს “გაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

10 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

2012 წლის განმავლობაში სესხის გაუფასურების რეზერვში მომხდარი ცვლილებები შემდეგია:

ათას ლარში	იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	სამომხმარებლო სესხები	იპოთეკური სესხები	საკრედიტო ბარათები	სულ
სესხის გაუფასურების რეზერვი 2012 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	2,421	393	417	249	3,480
წლის განმავლობაში ჩამოწერილი უიმედო თანხები	(278)	(61)	(143)	(194)	(676)
სესხის გაუფასურების რეზერვი წლის განმავლობაში *	654	62	526	154	1,396
სესხის გაუფასურების რეზერვი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,797	394	800	209	4,200

*2012 წლის განმავლობაში სესხის გაუფასურების რეზერვი განსხვავდება ამავე წლის მოგება-ზარალის ანგარიშში დეკლარირებული თანხისგან, მანამდე უიმედო სესხის სახით ჩამოწერილი 506 ათასი ლარის ამოღების გამო.

ეკონომიკური სექტორის მიხედვით რისკების კონცენტრაციები სამომხმარებლო სესხის პორტფელში შემდეგია:

ათას ლარში	2013		2012	
	თანხა	%	თანხა	%
ვაჭრობა	39,294	20%	17,312	18%
მომსახურება	26,309	14%	10,922	11%
სასტუმროები და რესტორნები	11,490	6%	5,130	5%
უძრავი ქონების მართვა	9,068	5%	4,003	4%
სოფლის მეურნეობა	6,852	4%	1,112	1%
ფიზიკური პირები	58,977	29%	36,478	37%
მშენებლობა	8,929	5%	5,287	5%
წარმოება	12,227	6%	8,694	9%
ფინანსური ინსტიტუტები	3,708	2%	1,654	2%
სხვა	16,784	9%	8,141	8%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაუფასურებამდე)	193,638	100%	98,733	100%

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰყავდა მსესხებელთა ჯგუფები (2012: არცერთი ჯგუფი), რომელთა საერთო თანხა ჯგუფის მთლიანი კაპიტალის 10%-ზე მეტი იქნებოდა.

სს “გაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

10 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია შემდეგია:

ათას ლარში	იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	სამომხმარებლო სესხები	იპოთეკური სესხები	საკრედიტო ბარათები	სულ
არაუზრუნველყოფილი სესხები	7,352	5,848	262	5,247	18,709
<i>სესხები, რომლებიც უზრუნველყოფილია:</i>					
- ფულადი დეპოზიტებით	6,487	727	-	-	7,214
- უძრავი ქონებით	113,939	7,116	39,205	4	160,264
- ტრანსპორტით და მოწყობილობებით	3,497	529	28	-	4,054
- სხვა აქტივებით	3,386	3	-	8	3,397
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	134,661	14,223	39,495	5,259	193,638

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია შემდეგია:

ათას ლარში	იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	სამომხმარებლო სესხები	იპოთეკური სესხები	საკრედიტო ბარათები	სულ
არაუზრუნველყოფილი სესხები	3,092	4,579	469	5,127	13,267
<i>სესხები, რომლებიც უზრუნველყოფილია:</i>					
- ფულადი დეპოზიტებით	3,207	535	-	-	3,742
- უძრავი ქონებით	51,288	5,355	19,786	22	76,451
- ტრანსპორტით და მოწყობილობებით	2,387	575	23	5	2,990
- სხვა აქტივებით	2,281	2	-	-	2,283
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	62,255	11,046	20,278	5,154	98,733

სესხების საბალანსო ღირებულება განაწილდა მიღებული უზრუნველყოფის სახის საფუძველზე შემდეგი თანმიმდევრობით: ფულადი დეპოზიტები, უძრავი ქონება, ტრანსპორტი და მოწყობილობები, სხვა მარაგები. სხვა აქტივებში შეიძლება შედიოდეს ფასიანი ქაღალდები და მარაგები. მესამე მხარის გარანტიები, რომლებიც მიღებულია 7,457 ათასი ლარის ოდენობით (2012: 6,586 ათასი ლარი), ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეტანილი არ არის.

ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები ასახავს აღებული სესხის ან უზრუნველყოფის უმცირეს საბალანსო ღირებულებას. დანარჩენი ნაწილი წარმოდგენილია არაუზრუნველყოფილი რისკებით.

სს “გაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

10 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი:

ათას ლარში	იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	სამომხმარებლო სესხები	იპოთეკური სესხები	საკრედიტო ბარათები	სულ
არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული (ბრუტო)					
- მსხვილი მსესხებლები ორზე უფრო მეტი წლის საკრედიტო ისტორიით	28,423	-	-	-	28,423
- ახალი მსხვილი მსესხებლები	32,479	-	-	-	32,479
- საშუალო ზომის საწარმოებზე გაცემული სესხები	32,155	-	-	-	32,155
- მცირე ზომის საწარმოებზე გაცემული სესხები	3,316	-	-	-	3,316
- 100 ათას ლარზე ზემოთ ფ/პ-ზე გაცემული სესხები	19,519	1,635	16,735	173	38,062
- 100 ათას ლარამდე ფ/პ-ზე გაცემული სესხები	4,303	10,781	20,529	4,873	40,486
სულ არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული	120,195	12,416	37,264	5,046	174,921
ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული (ბრუტო)					
- 30-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილებული	914	428	334	-	1,676
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	160	25	-	-	185
- 91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	250	145	-	1	396
- 181-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	103	-	-	-	103
სულ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	1,427	598	334	1	2,360
ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები (ბრუტო)					
- არავადაგადაცილებული	9,845	538	750	70	11,203
- 30-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილებული	409	372	264	47	1,092
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	802	131	263	46	1,242
- 91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	1,332	103	209	25	1,669
- 181-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	472	41	329	22	864
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	179	24	82	2	287
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები (ბრუტო)	13,039	1,209	1,897	212	16,357
მინუს გაუფასურების ზარალი	(3,373)	(352)	(1,166)	(208)	(5,099)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	131,288	13,871	38,329	5,051	188,539

სს “გაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

10 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი:

ათას ლარში	იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	სამომხმარებლო სესხები	იპოთეკური სესხები	საკრედიტო ბარათები	სულ
არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული (ბრუტო)					
- მსხვილი მსესხებლები ორზე უფრო მეტი წლის საკრედიტო ისტორიით	11,617	-	-	-	11,617
- ახალი მსხვილი მსესხებლები	8,633	-	-	-	8,633
- საშუალო ზომის საწარმოებზე გაცემული სესხები	20,280	-	-	-	20,280
- მცირე ზომის საწარმოებზე გაცემული სესხები	429	-	-	-	429
- 100 ათას ლარზე ზემოთ ფ/პ-ზე გაცემული სესხები	7,649	1,255	7,552	100	16,556
- 100 ათას ლარამდე ფ/პ-ზე გაცემული სესხები	3,684	8,193	10,473	4,882	27,232
სულ არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული	52,292	9,448	18,025	4,982	84,747
ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული (ბრუტო)					
- 30-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილებული	1,728	513	240	-	2,481
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	153	4	-	-	157
- 91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	-	26	-	-	26
სულ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	1,881	543	240	-	2,664
ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული (ბრუტო)					
არავადაგადაცილებული	5,414	348	941	84	6,787
- 30-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილებული	1,171	173	271	60	1,675
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	502	441	465	16	1,424
- 91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	500	47	187	3	737
- 181-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	397	43	76	9	525
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	98	3	73	-	174
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები (ბრუტო)	8,082	1,055	2,013	172	11,322
მინუს გაუფასურების ზარალი	(2,797)	(394)	(800)	(209)	(4,200)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	59,458	10,652	19,478	4,945	94,533

ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებში დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფები, რომელთა საერთო საკრედიტო რისკი აღემატება 1 მილიონ აშშ დოლარს, მიეკუთვნება “მსხვილი მსესხებლების” კატეგორიას. მსესხებლების ჯგუფები, რომელთა საერთო საკრედიტო რისკი 30 ათასი აშშ დოლარამდე მერყეობს, მიეკუთვნება “საშუალო ზომის მსესხებლების” კატეგორიას. დანარჩენი მსესხებლები მიეკუთვნებიან “მცირე ზომის მსესხებლების” კატეგორიას.

ჯგუფი იყენებდა ბასს 39-ით (“ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაანგარიშება”) გათვალისწინებულ პორტფელის დარეზერვების მეთოდს, და ქმნიდა პორტფელის რეზერვებს იმ გაუფასურების ზარალისთვის, რომელიც ჯგუფს მიაღება, მაგრამ ანგარიშგების პერიოდის ბოლომდე ინდივიდუალურ სესხთან დაკავშირებით კონკრეტულად არ დადგენილა. ჯგუფის პოლიტიკა ითვალისწინებს თითოეული სესხის “არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული” კატეგორიისთვის მიკუთვნებას მოცემული სესხის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების მოპოვებამდე. ამ პოლიტიკისა და პორტფელის გაუფასურების მეთოდის მიხედვით, გაუფასურების რეზერვები შეიძლება აღემატებოდეს ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხების მთლიან ბრუტო მოცულობას.

სს “პაზისპანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

10 კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

ის ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც ჯგუფი განიხილავს იმის დასადგენად, არის თუ არა სესხი გაუფასურებული, არის სესხის გადაგადაცემის სტატუსი, მსესხებლის ფინანსური შედეგი და შესაბამისი უზრუნველყოფის (მისი არსებობისას) გაყიდვადობა. შედეგად, ჯგუფი ზემოთ წარმოადგენს იმ სესხების ვადიანობის ანალიზს, რომლებიც ინდივიდუალურად გაუფასურებულადაა მიჩნეული.

ვადიანობის გადაგადაცემის მიზნით, მაგრამ არაგაუფასურებულ სესხებში ძირითადად შედის ის უზრუნველყოფილი სესხები, რომელთა უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება საკმარისია სესხის ძირისა და პროცენტების დასაფარად. ვადიანობის გადაგადაცემის მიზნით, მაგრამ არაგაუფასურებულად დეკლარირებული თანხა წარმოადგენს ამგვარი სესხების (და არა მხოლოდ ვადიანობის გადაგადაცემის მიზნით ინდივიდუალური განვადების) ჯამს.

უზრუნველყოფის ფინანსური ეფექტი წარმოდგენილია უზრუნველყოფის ღირებულებების ასახვით: (i) იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებთან დაკავშირებითაც უზრუნველყოფა და სხვა საკრედიტო გარანტიები უდრის ან აღემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას (“საკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები”) და (ii) იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებთან დაკავშირებითაც უზრუნველყოფა და სხვა საკრედიტო გარანტიები ნაკლებია აქტივის საბალანსო ღირებულებაზე (“არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები”). 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველყოფის შედეგი შემდეგია:

ათას ლარში	საკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები		არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	122,668	419,162	11,993	7,828
სამომხმარებლო სესხები	8,263	34,150	5,960	111
იპოთეკური სესხები	38,985	110,526	510	285
საკრედიტო ბარათები	12	13	5,247	-
სულ	169,928	563,851	23,710	8,224

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველყოფის შედეგი შემდეგია:

ათას ლარში	საკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები		არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	54,607	197,657	7,648	4,492
სამომხმარებლო სესხები	6,156	24,593	4,890	307
იპოთეკური სესხები	19,586	57,566	692	293
საკრედიტო ბარათები	26	29	5,128	-
სულ	80,375	279,845	18,358	5,092

100 ათას ლარზე მეტი საბალანსო ღირებულების მქონე სესხების შემთხვევაში, ჯგუფი შეფასებების განახლებას ატარებს სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც. თუ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ სესხის საბალანსო ღირებულება შეიძლება აღემატებოდეს უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებას, ხელმძღვანელობა გონივრულად ატარებს შესაბამისი უზრუნველყოფის შეფასებას.

იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 33-ე კლიენტებისთვის გაცემული თითოეული კლასის სესხებისა და ავანსების საანგარიშო სამართლიანი ღირებულება. კლიენტებისთვის სესხებისა და ავანსების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 28-ე შენიშვნაში. დაკავშირებული მხარეების ბალანსებზე ინფორმაცია წარმოდგენილია 35-ე შენიშვნაში.

სს “პაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

11 სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

ათას ლარში	2013	2012
საქართველოს მთავრობის სახაზინო ობლიგაციები	31,294	10,379
საქართველოს მთავრობის სახაზინო თამასუქები	16,634	2,985
სეპ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები	45,584	15,445
სულ სავალო ფასიანი ქაღალდები	93,512	28,809
კორპორატიული აქციები (არაკოტირებული)	63	63
სულ სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	93,575	28,872

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დინამიკა შემდეგია:

ათას ლარში	შენიშვნა	2013	2012
საბალანსო ღირებულება 1-ლი იანვრის მდგომარეობით		28,809	20,019
სამართლიანი ღირებულების მოგება მინუს ზარალი		693	361
მოგებას გამოკლებული ის ზარალი, რომელიც განკარგვისას ან გაუფასურებისას მოგებას ან ზარალს მიეკუთვნა		(60)	(49)
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	23	3,531	1,649
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		(1,443)	(714)
შესყიდვები		123,502	33,205
გამოსყიდვა ვადის დადგომისას		(61,520)	(25,662)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით		93,512	28,809

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს 63 ათასი (2012: 63 ათასი) ლარის საბალანსო ღირებულების მქონე სააქციო ფასიან ქაღალდებს, რომლებიც სავაჭრო ბირჟაზე დაშვებული არ არის. ამიტომ ისინი დეკლარირებულია თვითღირებულებით. ინვესტირებულ სუბიექტებს არ გამოუქვეყნებიათ ბოლოდროინდელი ფინანსური ინფორმაცია მათი ოპერაციების შესახებ, მათი აქციები კოტირებული არაა და ბოლოდროინდელი სავაჭრო ფასები საჯაროდ ხელმისაწვდომი არაა.

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 28-ე განმარტებით შენიშვნაში. დაკავშირებული მხარეების სავალო სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 35-ე განმარტებით შენიშვნაში.

12 საინვესტიციო ქონება

ათას ლარში	შენიშვნა	2013	2012
საბალანსო ღირებულება 1-ლი იანვრის მდგომარეობით		1,055	1,295
დამატება		939	53
განკარგვა		(55)	(293)
გაუფასურება	26	(137)	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით		1,802	1,055

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება შეადგენდა 1,912 ათას ლარს (2012: 1,067 ათას ლარს). ჯგუფის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ბანკის შიდა შემასებლების მიერ, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი კვალიფიკაცია. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისას განისაზღვრა სამი საბაზრო შედარების ობიექტი. რადგან შედარების ობიექტები გარკვეულწილად განსხვავდებოდა შეფასებული ქონებისგან, შედარების ობიექტის კოტირებული ფასები კიდევ დაკორექტირდა მათი აღვილმდებარეობის, პირობის, ზომის, მისაღებობის, სიძველის, და გამყიდველთან მოლაპარაკებების შედეგად მოსალოდნელი ფასდაკლებების გათვალისწინებით. ერთ კვადრატულ მეტრზე ამ მეთოდით განსაზღვრული შედარებითი ფასები შემდეგ მრავლდება შეფასებული ქონების ფართზე და მიიღება საინვესტიციო ქონების შეფასებული ღირებულება.

სს “პაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

13 შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა არამატერიალური აქტივები

ათას ლარში	შენიშვნა	შენობა-ნაგებობები	საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობა	დაუსრულებელი მშენებლობა	სულ შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები	სულ
ღირებულება/შეფასება 2012 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით		14,343	5,417	-	19,760	435	20,195
აკუმულირებული ცვეთა		221	4,169	-	4,390	204	4,594
საბალანსო ღირებულება 2012 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით		14,122	1,248	-	15,370	231	15,601
დამატება		-	296	19	315	12	327
განკარგვა		-	(82)	-	(82)	(1)	(83)
სრულად ამორტიზებული მოწყობილობების აღდგენა		-	315	-	315	-	315
ცვეთა							
ცვეთის დარიცხვა	26	279	516	-	795	43	838
სრულად ამორტიზებული მოწყობილობების აღდგენა		-	315	-	315	-	315
განკარგვა		-	(74)	-	(74)	-	(74)
საბალანსო ღირებულება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		13,843	1,020	19	14,882	199	15,081
ღირებულება/შეფასება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		14,343	5,946	19	20,308	446	20,754
აკუმულირებული ცვეთა		500	4,926	-	5,426	247	5,673
საბალანსო ღირებულება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		13,843	1,020	19	14,882	199	15,081
დამატება		-	1,401	288	1,689	540	2,229
გასხვისება		159	-	(159)	-	-	-
განკარგვა		-	(428)	-	(428)	-	(428)
გადაფასების ზარალი	26	(144)	-	-	(144)	-	(144)
გადაფასებისას აკუმულირებული ცვეთის შებრუნება		(781)	-	-	(781)	-	(781)
გადაფასება		326	-	-	326	-	326
ცვეთა							
დარიცხული ცვეთა	26	281	535	-	816	71	887
გადაფასებისას აკუმულირებული ცვეთის შებრუნება		(781)	-	-	(781)	-	(781)
განკარგვა		-	(416)	-	(416)	-	(416)
საბალანსო ღირებულება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		13,903	1,874	148	15,925	668	16,593
ღირებულება/შეფასება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		13,903	6,919	148	20,970	986	21,956
აკუმულირებული ცვეთა		-	5,045	-	5,045	318	5,363
საბალანსო ღირებულება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		13,903	1,874	148	15,925	668	16,593

სს “პაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

13 შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

დაუსრულებელი მშენებლობა ძირითადად შედგება ფილიალების შენობების მშენებლობისგან და გარემონტებისგან. დასრულებისთანავე ამგვარი აქტივები გადადის შენობა-ნაგებობებში და მოწყობილობებში.

შენობა-ნაგებობები გადაფასდა 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შეფასება ჩაატარა დამოუკიდებელმა შეფასებელმა – შპს “საქართველოს შეფასების კომპანია”, რომელსაც აქვს აღიარებული და სათანადო პროფესიული კვალიფიკაცია და რომლის შემფასებლებსაც აქვთ მსგავსი ადგილმდებარეობისა და კატეგორიის აქტივების შეფასების ბოლოდროინდელი გამოცდილება. იხილეთ მე-4 განმარტებითი შენიშვნა.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება იქნებოდა 10,794 ათასი ლარი (2012: 11,382 ათასი ლარი), ეს აქტივები რომ თვითღირებულებით და ცვეთის გამოკლებით ასახულიყო.

14 სხვა ფინანსური აქტივები

ათას ლარში	შენიშვნა	2013	2012
დებიტორული დავალიანებები საკრედიტო ბარათით მომსახურებიდან და ფულადი გადარიცხვებიდან		-	269
დებიტორული დავალიანებები დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან		414	-
სხვა დებიტორული დავალიანებები		145	137
მინუს: გაუფასურების რეზერვი	26	(124)	-
სულ სხვა ფინანსური აქტივები		435	406

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეიქმნა დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან დებიტორული დავალიანებების რეზერვი 414 ათასი ლარის ოდენობით, რადგან მყიდველმა გადახდა ვერ შეძლო. იგივე ქონება ჩადებულია უზრუნველყოფაში ბანკის სასარგებლოდ. სხვა დებიტორული დავალიანებები მიმდინარეა და გაუფასურებული არაა.

იხილეთ 33-ე განმარტებითი შენიშვნა სხვა ფინანსური აქტივების თითოეული კლასის სამართლიანი ღირებულებით ასახვასთან დაკავშირებით.

15 სხვა აქტივები

ათას ლარში	2013	2012
დასაკუთრებული უზრუნველყოფა	7,719	13,516
გადახდილი დღგ	933	897
სასამართლო ხარჯები	251	306
წინასწარ გადახდილი მომსახურების ფასი	94	50
წინასწარ დაფარვები ძირითად აქტივებზე	57	69
გადახდილი დაკავებული გადასახადი	1	11
სხვა	93	105
სულ სხვა აქტივები	9,148	14,954

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ვადაგადაცილებული სესხების დაფარვის მიზნით ჯგუფის მიერ შეძენილი უძრავი ქონების აქტივებს. ჯგუფი ფიქრობს, რომ ამ აქტივებს ახლო მომავალში განკარგავს.

სს “პაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

16 სხვა ბანკებისთვის გადასახდელი სახსრები

ათას ლარში	2013	2012
საკორესპოდენტო ანგარიშები და სხვა ბანკების 1-დღიანი ანაბრები	25	15
სხვა ბანკების მოკლევადიანი ანაბრები	-	5,303
სულ სხვა ბანკებისთვის გადასახდელი სახსრები	25	5,318

იხილეთ 33-ე განმარტებითი შენიშვნა სხვა ბანკებისთვის გადასახდელი სახსრების სამართლიანი ღირებულებით ასახვასთან დაკავშირებით. სხვა ბანკებისთვის გადასახდელი სახსრების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 28-ე განმარტებითი შენიშვნაში.

17 კლიენტთა ანგარიშები

ათას ლარში	2013	2012
სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები		
- მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	17,281	7,740
- ვადიანი დეპოზიტები	18,689	165
სხვა იურიდიული პირები		
- მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	101,023	33,060
- ვადიანი დეპოზიტები	38,889	24,543
ფიზიკური პირები		
- მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	33,820	30,580
- ვადიანი დეპოზიტები	21,662	19,975
სულ კლიენტთა ანგარიშები	231,364	116,063

სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მოგებაზე ორიენტირებულ საწარმოებს.

კლიენტთა ანგარიშებში ეკონომიკური სექტორების მიხედვით კონცენტრაციები შემდეგია:

ათას ლარში	2013		2012	
	თანხა	%	თანხა	%
სახელმწიფო დეპოზიტები	9,221	4%	1,596	1%
მშენებლობა	74,398	32%	18,859	16%
ვაჭრობა	36,987	16%	19,456	17%
წარმოება	12,944	6%	4,582	4%
ენერგეტიკა	11,060	5%	2,063	2%
განათლება	9,465	4%	5,306	5%
ფინანსური ინსტიტუტები	9,199	4%	7,256	6%
ტრანსპორტი ან კავშირგაბმულობა	9,051	4%	2,325	2%
სოფლის მეურნეობა	711	0%	568	0%
სხვა	2,846	1%	3,497	3%
ფიზიკური პირები	55,482	24%	50,555	44%
სულ კლიენტთა ანგარიშები	231,364	100%	116,063	100%

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰყავდა 2 კლიენტი (2012: ერთი კლიენტი), რომელთა ბალანსები კაპიტალის 10% აღემატებოდა. ამ კლიენტების ჯამური ბალანსი შეადგენდა 48,342 ათას ლარს (2012: 10,315 ათას ლარი).

იხილეთ 33-ე განმარტებითი შენიშვნა თითოეული კლასის კლიენტთა ანგარიშის სამართლიან ღირებულებასთან დაკავშირებით. კლიენტთა ანგარიშების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 28-ე განმარტებითი შენიშვნაში. დაკავშირებული მხარეების ბალანსებზე ინფორმაცია წარმოდგენილია 35-ე განმარტებითი შენიშვნაში.

სს “პაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

18 სხვა ნასესხები სახსრები

ათას ლარში	2013	2012
სესხები “უორლდ ბიზნის კაპიტალიდან” (World Business Capital)	10,003	10,750
სესხები “შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკიდან”	17,602	1,461
სესხები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (“EBRD”)	1,912	6,808
სესხები ფინანსთა სამინისტროდან	600	764
სხვა	72	84
სულ სხვა ნასესხები სახსრები	30,189	19,867

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არღვევდა ერგბ-სთან გაფორმებული რევოლველური კრედიტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ორ ვალდებულებას კოეფიციენტებთან დაკავშირებით:

- არსებული ხელშეკრულების თანახმად, ბანკი ვალდებულია მთლიან სესხებთან 20 უმსხვილესი სესხის შეფარდება ყოველთვის შეინარჩუნოს მაქსიმუმ 25%-მდე (2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს კოეფიციენტი 34%-ს შეადგენდა).
- ბანკი ვალდებულია უარყოფითი ლიკვიდობის გაპი ყოველთვის შეინარჩუნოს მაქსიმუმ მინუს 30%-მდე (შესაბამის დროის პერიოდში არსებული აქტივებისა) თითოეულ შემდეგ დაფარვის პერიოდში: 30 დღეზე ნაკლები, 90 დღემდე, 180 დღემდე, 360 დღემდე, 360 დღეზე მეტი. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეს კოეფიციენტი შეადგენდა -34%-ს 30 დღეზე ნაკლები დაფარვის ვადის მქონე აქტივების შემთხვევაში (ლიკვიდობის გაპის გაანგარიშებისას, ყველა აქტივი და ვალდებულება განაწილება მათი სახელშეკრულებო ვადიანობისა და საბალანსო ღირებულებების მიხედვით, გარესაბალანსო ვალდებულებები მხედველობაში არ მიიღება).

ამ ორივე ფინანსურ კოეფიციენტთან დაკავშირებით ბანკმა მიადგინა შეთანხმება მოთხოვნის უფლების არგამოყენების თაობაზე, მაგრამ ეს შეთანხმება მიღწეულ იქნა 2013 წლის 31 დეკემბრის შემდეგ. აქედან გამომდინარე, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თან გაფორმებული რევოლველური კრედიტის შესახებ ხელშეკრულებით მიღებული თანხები გადავიდა “მოთხოვნამდე” კატეგორიაში.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, “უორლდ ბიზნის კაპიტალისგან” აღებულ სესხები უზრუნველყოფილი იყო კლიენტებზე გაცემული სესხებით 18,512 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით (2011: 18,740 ათასი ლარი).

იხილეთ 33-ე განმარტებითი შენიშვნა სხვა ნასესხები სახსრების სამართლიან ღირებულებასთან დაკავშირებით. სხვა ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 28-ე განმარტებითი შენიშვნაში. დაკავშირებული მხარეების ბალანსებზე ინფორმაცია წარმოდგენილია 35-ე განმარტებითი შენიშვნაში.

19 სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები შედგება შემდეგი პუნქტებისგან:

ათას ლარში	შენიშვნა	2013	2012
კრედიტორული დავალიანებები სადებიტო ან საკრედიტო ბარათების მიხედვით		258	-
სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	32	948	-
სხვა დარიცხული ვალდებულებები		583	284
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები		1,789	284

სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სავალუტო სვოპის კონტრაქტებია. იხილეთ 33-ე განმარტებითი შენიშვნა სხვა ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასთან დაკავშირებით.

სს “პაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

20 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები შედგება შემდეგი პუნქტებისგან:

ათას ლარში	2013	2012
გადასახდელი გადასახადები გარდა საშემოსავლო გადასახადისა	375	549
თანამშრომელთა დამატებითი ანაზღაურების ხარჯები	822	216
სხვა	67	98
სულ სხვა ვალდებულებები	1,264	863

21 სუბორდინირებული ვალი

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სუბორდინირებული სესხები შეადგენს “უორლდ ბიზნის კაპიტალისგან” აღებულ სესხებს 3,165 ათას ლარის ოდენობით (2012: 2,976 ათასი) და რომელთა დაფარვის ვადაც დგება 2021 წელს და რომელთა წლიური საპროცენტო განაკვეთიც შეადგენს “ლიბორ”+5%-ს. გაკოტრების შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხების დაფარვა განხორციელდება “ჯგუფის” ყველა სხვა დავალიანების სრულად დაფარვის შემდეგ.

იხილეთ 33-ე განმარტებითი შენიშვნა სუბორდინირებული ვალის სამართლიან ღირებულებასთან დაკავშირებით. სუბორდინირებული ვალის საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 28-ე განმარტებითი შენიშვნაში. დაკავშირებული მხარეების ბალანსებზე ინფორმაცია წარმოდგენილია 35-ე განმარტებითი შენიშვნაში.

22 სააქციო კაპიტალი

ათას ლარში გარდა აქციების რაოდენობისა	მიმოქცევაში არსებული აქციების რაოდენობა (ათასებში)	ჩვეულებრივი აქციები	აქციის პრემია	მთლიანი სააქციო კაპიტალი
2012 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	6,700	5,912	5,612	11,524
ახალი გამოშვებული აქციები	2,379	3,167	21,684	24,851
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,079	9,079	27,296	36,375
ახალი გამოშვებული აქციები	6,862	6,862	46,671	53,533
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,941	15,941	73,967	89,908

მთლიანი ნებადართული, გამოშვებული საწესდებო კაპიტალი შედგება 15,941 ათასი (2012 წელი: 9,079 ათასი) ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს (2012: 1 აქცია 1 ლარი). ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია სრულადაა დაფარული.

აქციაზე პრემია წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მიღებული შენატანების ნამეტს, რაც 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 73,967 ათას ლარს (2012: 27,296 ათასი ლარი).

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ბანკი მოგებას ანაწილებს დივიდენდების სახით ან აღრიცხავს რეზერვებში სესხის აღრიცხვის წესების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშების საფუძველზე.

სს “გაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

23 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ათას ლარში	2013	2012
საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	22,400	14,657
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	3,531	1,649
სხვა ბანკებიდან მისაღები სახსრები და სებ-ში განთავსებული სავალდებულო საღდოები	919	558
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	26,850	16,864
საპროცენტო ხარჯი		
იურიდიული პირების ვადიანი დეპოზიტები	3,036	2,473
ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები	2,321	2,570
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	1,322	938
ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები და სუბორდინირებული სესხები	1,651	1,310
სხვა ბანკებისთვის გადასახდელი სახსრები	61	208
გამოსყიდვის ხელშეკრულებები	6	217
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	8,397	7,716
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	18,453	9,148

24 საკომისიო შემოსავალი და ხარჯი

ათას ლარში	2013	2012
საკომისიო შემოსავალი		
- პლასტიკური ბარათის საკომისიო	871	822
- ანგარიშსწორების ოპერაციები	723	642
- ნაღდი ფულით განხორციელებული ოპერაციები	409	387
- გარანტიებთან დაკავშირებული საკომისიოები	327	394
- დისტანციური საბანკო მომსახურების საკომისიოები	123	125
- სხვა	280	404
მთლიანი საკომისიო შემოსავალი	2,733	2,774
საკომისიო ხარჯი		
საკომისიო ხარჯი, რომელიც დაკავშირებული არ არის მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან		
- პლასტიკური ბარათების სისტემის საკომისიოები	423	519
- კომუნიკაციისა და კომპიუტერული ცენტრის მომსახურების საკომისიო	436	399
- ანგარიშსწორების ოპერაციები	228	211
- საკრედიტო ხაზების საკომისიოები	167	82
- ნაღდი ფულის ამოღებისა და ნაღდი ფულით განხორციელებული ოპერაციების საკომისიოები	163	143
- გარანტიებთან დაკავშირებული ხარჯები	97	94
- სხვა	91	72
მთლიანი საკომისიო ხარჯი	1,605	1,520
წმინდა საკომისიო შემოსავალი	1,128	1,254

სს “პაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

25 სხვა საოპერაციო შემოსავალი

ათას ლარში	2013	2012
მოგება დასაკუთრებული ქონების განკარგვისას დამდგარი ზარალის გამოკლებით	3,448	76
დასაკუთრებული ქონების გაუფასურების შებრუნება	1,065	730
საიჯარო შემოსავალი	128	146
ჯარიმები და პირგასამტეხლოები	20	33
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	4,661	985

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი შეადგენდა 44 ათას ლარს (2012: 34 ათასი ლარი).

26 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ათას ლარში	შენიშვნა	2013	2012
პერსონალის შრომის ანაზღაურება		6,764	5,547
ცვეთა და ამორტიზაცია	13	887	838
პროფესიული მომსახურება		634	574
რეკლამა და მარკეტინგი		621	190
დაცვა		408	422
იჯარა		477	323
კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული მომსახურება		174	165
გადასახადები გარდა საშემოსავლო გადასახადისა		171	168
საოფისე მარაგები		149	104
შენობა-ნაგებობების გადაფასებით დამდგარი ზარალი	13	144	-
საინვესტიციო ქონების გაუფასურება	12	137	-
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურება	14	261	19
რემონტი და ტექმომსახურება		78	37
დაზღვევა		70	63
მგზავრობა და ტრენინგი		65	42
სხვა		633	494
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		11,673	8,986

საიჯარო შემოსავლის მიმღებ საინვესტიციო ქონებაზე პირდაპირმა საოპერაციო ხარჯებმა შეადგინა 10 ათასი ლარი (2012: 50 ათასი ლარი) და მოიცავდა კომუნალური მომსახურების ხარჯებს, შენახვის ხარჯებს და გადასახადებს. იმ საინვესტიციო ქონებაზე პირდაპირმა საოპერაციო ხარჯებმა, რომელზეც საიჯარო შემოსავლის მიღება არ ხდებოდა, შეადგინა 1 ათასი ლარი (2012: ნული ლარი).

სს “ზაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

27 საშემოსავლო გადასახადები

(ა) საშემოსავლო გადასახადის ხარჯის / (მოგების) კომპონენტები

მოცემული წლის მოგება-ზარალში აღებული საშემოსავლო გადასახადის ხარჯი შემდეგია:

ათას ლარში	2013	2012
მიმდინარე გადასახადი	(1,286)	-
გადავადებული გადასახადი	(337)	27
საშემოსავლო გადასახადი (ხარჯი)/წლის ჩათვლა	(1,623)	27

(ბ) საგადასახადო ხარჯისა და მოგება-ზარალის ურთიერთშეჯერება გამრავლებული მოქმედ საგადასახადო განაკვეთზე

ჯგუფის 2013 წლის შემოსავლის უდიდესი ნაწილის მიმართ მოქმედი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს (2012: 15%). მოსალოდნელი და ფაქტობრივი საგადასახადო ხარჯების შეჯერება წარმოდგენილია ქვემოთ.

ათას ლარში	2013	2012
მოგება დაბეგვრამდე	14,174	3,368
თეორიული საგადასახადო ხარჯი კანონით გათვალისწინებული განაკვეთით (2013: 15%; 2012: 15%)	(2,126)	(505)
იმ პუნქტების საგადასახადო ეფექტი, რომლებიც საგადასახადო მიზნებისთვის არ ექვემდებარება გამოქვითვას ან დარიცხვას:		
- დაბეგვრისგან გათავისუფლებული შემოსავალი (სებ-ის ფასიანი ქაღალდები და დეპოზიტები)	560	294
- დაბეგვრისგან გათავისუფლებული სხვა შემოსავალი	-	291
- მიკუთვნებული მოგება	(16)	(49)
- გამოუქვითავი ხარჯები	(41)	(4)
საშემოსავლო გადასახადი (ხარჯი)/წლის ჩათვლა	(1,623)	27

(გ) საგადასახადო ზარალის გადატანა

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰქონდა არაღიარებული პოტენციური გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის გადატანასთან დაკავშირებით (2012: 75 ათასი ლარი).

სს “პაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

27 საშემოსავლო გადასახადები (გაგრძელება)

(დ) გადავადებული გადასახადები შეიღობილ საწარმოებთან, ერთობლივ საწარმოებთან და ასოცირებულ საწარმოებთან დაკავშირებით

ჯგუფს არ აღურიცხია შეიღობილ საწარმოებში განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება 5 ათასი ლარის (2012: ნული ლარის) დროებითი სხვაობების სახით, რადგან ჯგუფს შეუძლია აკონტროლოს ამ დროებითი სხვაობების შებრუნების დრო, და არ აპირებს ახლო მომავალში მათ (დროებითი სხვაობების) შებრუნებას.

(ე) დროებითი სხვაობის ტიპის მიხედვით გაანალიზებული გადავადებული გადასახადები

ფასსა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას შორის არსებული განსხვავებები იწვევს დროებით სხვაობებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის დეკლარირებულ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ საგადასახადო ბაზებს შორის. ამ დროებითი სხვაობების ცვლილებების საგადასახადო ეფექტი განმარტებულია ქვემოთ და აღირიცხება 15%-იანი განაკვეთით (2012: 15%).

ათას ლარში	2013 წლის 1-ლი იანვარი	მოგება-ზარალში აღებული	პირდაპირ კაპიტალში აღებული	2013 წლის 31 დეკემბერი
გამოქვითვას/დაბეგვრას დაქვემდებარებული დროებითი სხვაობების და საგადასახადო ზარალის გადატანის საგადასახადო ეფექტი				
შენიშნა-ნაგებობები და მოწყობილობები	(1,742)	(81)	(49)	(1,872)
სესხის გაუფასურების ზარალი	-	(116)	-	(116)
გარანტიის გაუფასურების ზარალი	-	(14)	-	(14)
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილი სხვა ფასიანი ქაღალდების სამართლიანი შეფასება	(87)	-	(95)	(182)
დარიცხვები	70	149	-	219
საგადასახადო ზარალის გადატანა	75	(75)	-	-
სხვა	659	(200)	-	459
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(1,025)	(337)	(144)	(1,506)

ჯგუფის მიმდინარე სტრუქტურისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, სხვადასხვა ჯგუფის კომპანიების საგადასახადო ზარალი და მიმდინარე საგადასახადო აქტივები შეიძლება არ ჩაითვალოს სხვა ჯგუფის კომპანიების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებში და დასაბეგრ მოგებაში და, შესაბამისად, გადასახადების დარიცხვა შეიძლება მაინც განხორციელდეს თვით კონსოლიდირებული საგადასახადო ზარალის არსებობის შემთხვევაშიც კი. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე დასაბეგრ სუბიექტთან და ერთსა და იმავე საგადასახადო ორგანოსთან.

ათას ლარში	2012 წლის 1-ლი იანვარი	მოგება-ზარალში აღებული	პირდაპირ კაპიტალში აღებული	2012 წლის 31 დეკემბერი
გამოქვითვას/დაბეგვრას დაქვემდებარებული დროებითი სხვაობების და საგადასახადო ზარალის გადატანის საგადასახადო ეფექტი				
შენიშნა-ნაგებობები და მოწყობილობები	(1,956)	214	-	(1,742)
მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილი სხვა ფასიანი ქაღალდების სამართლიანი შეფასება	(40)	-	(47)	(87)
დარიცხვები	58	12	-	70
საგადასახადო ზარალის გადატანა	316	(241)	-	75
სხვა	617	42	-	659
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	(1,005)	27	(47)	(1,025)

28 ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა ფასის რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მანველებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირება საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

რისკების მართვის მიზანია სტაბილური და სანდო საბანკო ინსტიტუტის შექმნა ფინანსური ბაზრების აქროლადობისა და მაკროეკონომიკური გარემოს არასტაბილურობის გათვალისწინებით. რისკების მართვის ორგანიზება ხორციელდება მენეჯმენტის უმაღლესი რგოლიდან (სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, აუდიტის კომიტეტი) საოპერაციო განყოფილების დონემდე.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები ითვალისწინებს ძირითადი სახის რისკებს, აკისრებს პასუხისმგებლობას კონკრეტული რისკების მართვაზე, და ადგენს შიდა კონტროლის პროცედურების შესრულების მოთხოვნას. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები ითვალისწინებს ჯგუფის წინაშე არსებული რისკების განსაზღვრას, ანალიზსა და მართვას, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და რისკის კონტროლის მექანიზმების დაწესებას, და რისკის დონეებზე და ლიმიტების დაცვაზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელებას. რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ექვემდებარება რეგულარულ გადასინჯვას საბაზრო პირობებში, პროდუქტებსა და მომსახურებაში, და საუკეთესო პრაქტიკაში მომხდარი ცვლილებების ასახვის მიზნით.

რისკის მართვის საქმიანობის ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკის აღების მიმართ ჯგუფის მზადყოფნის დამტკიცებაზე, რისკის პროფილის გადასინჯვაზე, რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისობისა და ეფექტურობის გადასინჯვაზე და დამტკიცებაზე საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს.

მმართველი საბჭო (დირექტორატი) პასუხისმგებელია რისკის შემცირების ღონისძიებების განხორციელებასა და მონიტორინგზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ჯგუფმა საქმიანობა განახორციელოს რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში.

როგორც პორტფელურ, ასევე საოპერაციო დონეზე საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება საკრედიტო კომიტეტების მიერ. საბაზრო და ლიკვიდობის რისკების მართვა ხორციელდება აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის (აპმკ) მიერ.

გადაწყვეტილების ეფექტურად მიღების ხელშეწყობის მიზნით, ჯგუფმა დაადგინა საკრედიტო კომიტეტების იერარქია რისკის სახეობისა და მოცულობიდან გამომდინარე.

როგორც შიდა, ასევე გარე რისკ-ფაქტორების განსაზღვრა და მართვა ხორციელდება ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურის მასშტაბით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკის რუკების შედგენას, რომლებიც გამოიყენება რისკ-ფაქტორების სრული სპექტრის განსაზღვრისას და წარმოადგენს მიმდინარე რისკის შემცირების პროცედურებთან დაკავშირებით გარანტიის ღონის განსაზღვრის საფუძველს. გარდა საკრედიტო და საბაზრო რისკების სტანდარტული ანალიზისა, მმართველი საბჭო ახორციელებს ფინანსური და არაფინანსური რისკების მონიტორინგს სხვადასხვა სფეროში საექსპერტო დასკვნების მიღების მიზნით საოპერაციო განყოფილებებთან რეგულარული შეხვედრების ჩატარების გზით.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ბანკის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ან კონტრაგენტი დროულად ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს ჯგუფის მიერ კონტრაგენტებზე გაცემული სესხებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

საკრედიტო რისკის მიმართ ჯგუფის მაქსიმალური მგრძნობიარობა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში. გარანტიებთან და კრედიტის გაცემის ვალდებულებებთან დაკავშირებით, მაქსიმალური საკრედიტო რისკი შემოიფარგლება ვალდებულების თანხით (იხილეთ 30-ე განმარტებითი შენიშვნა). საკრედიტო რისკის შერბილება ხდება უზრუნველყოფით და კრედიტის დაცვის სხვა ზომებით, რის თაობაზეც ინფორმაცია წარმოდგენილია მე-10 განმარტებითი შენიშვნაში.

ჯგუფი მის მიერ აღებული საკრედიტო რისკის დონეებს განსაზღვრავს ერთი მსესხებლის ან მსესხებელთა ჯგუფების ან მრეწველობის დარგების მიხედვით აღებული რისკის მოცულობაზე ლიმიტების დადგენით. საკრედიტო რისკის დონეზე დადგენილი ლიმიტების გადახედვა ხორციელდება საჭიროებისამებრ. ლიმიტების დაცვაზე მონიტორინგ ხორციელდება თვეში ერთხელ. გარდა ამისა, 300 ათას ლარზე მეტი რისკის შემთხვევაში, ჯგუფი ლიმიტების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებს სესხის გაცეამდე ან კრედიტთან დაკავშირებით ვალდებულების აღებამდე ან შესრულების გარანტიის გაცეამდე.

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფში შექმნილია რამდენიმე საკრედიტო კომიტეტი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ფიზიკურ პირ მსესხებელბთან დაკავშირებით საკრედიტო ლიმიტების დამტკიცებაზე:

- უფროსი საკრედიტო კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს 300 ათას ლარზე ზემოთ. გარდა ამისა, სხენებული კომიტეტი პასუხისმგებელია ქვედა დონის კომიტეტებისთვის სახელმძღვანელო მითითებების მიცემაზე;
- საშუალო საკრედიტო კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს 100 ათას ლარზე ზემოთ;
- უმცროსი საკრედიტო კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს 20 ათას ლარზე ზემოთ;
- საცალო დამტკიცების ჯგუფი – ამტკიცებს სესხებს 20 ათას ლარზე ქვემოთ.

კომიტეტები პასუხისმგებელი არიან ზემოაღნიშნული ლიმიტების ფარგლებში შემავალი ყველა სასესხო განაცხადის განხილვაზე: განაცხადებისა საბანკო სესხებზე, გარანტიებზე, ოვერდრაფტებზე, და მათი შესაფერისობის, მოცულობის, მიზნობრიობის, სესხის გაცემისა და დაფარვის პირობებისა და გრაფიკის შეფასებაზე.

იურიდიული პირების მიერ სესხის/კრედიტის მიღების შესახებ განცხადებებს ადგენენ შესაბამისი კლიენტების მენეჯერები და შემდეგ აწვდიან საკრედიტო დეპარტამენტს. საკრედიტო დეპარტამენტის საკრედიტო ანალიტიკოსების მიერ მომზადებული დასკვნები ეფუძნება სტრუქტურულ ანალიზს, სადაც ყურადღება გამახვილებულია კლიენტის ბიზნესის მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე. სესხის/კრედიტის მიღების შესახებ განცხადებებს საკრედიტო კომიტეტი განიხილავს საკრედიტო დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე. კონკრეტული რისკებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურ გარიგებებს ასევე განიხილავენ ჯგუფის იურიდიული, ბუღალტრული აღრიცხვის და საგადასახადო დეპარტამენტები, საკრედიტო კომიტეტის მიერ მათ დამტკიცებამდე. 30 ათას ლარზე ზემოთ საკრედიტო განაცხადების შემთხვევაში, რისკების მართვის დეპარტამენტი ამზადებს დასკვნას საკრედიტო განაცხადის საკრედიტო კომიტეტში წარდგენამდე.

ჯგუფი ახორციელებს ინდივიდუალური საკრედიტო რისკების ქცევის უწყვეტ მონიტორინგს და რეგულარულად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. ეს შემოწმება ეფუძნება კლიენტის ყველაზე უფრო გვიანდელ ფინანსურ ანგარიშებსა და მსესხებლის შესახებ ამ უკანასკნელის მიერ მოწოდებულ ან ჯგუფის მიერ სხვაგვარად მოპოვებულ სხვა ინფორმაციას. უზრუნველყოფის მიმდინარე ღირებულებას რეგულარულად აფასებენ ან დამოუკიდებელი შემფასებელი კომპანიები ან ჯგუფის სპეციალისტები. საბაზრო ფასებში უარყოფითი ცვლილებების შემთხვევაში, მსესხებელს ჩვეულებრივ მოეთხოვება დამატებითი უზრუნველყოფის წარმოდგენა.

საცალო სესხის/კრედიტის მიღების შესახებ განცხადებებს განიხილავს ბანკის საცალო სესხების განყოფილება კრედიტის შეფასების მეთოდებისა და მონაცემთა გადამოწმების პროცედურების გამოყენებით.

გარდა ინდივიდუალური კლიენტის ანალიზისა, მთელ საკრედიტო პორტფელს აფასებს საკრედიტო კომიტეტი კრედიტის კონცენტრაციისა და საბაზრო რისკების თვალსაზრისით.

საკრედიტო რისკებზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით, რისკების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები ამზადებენ რეგულარულ ანგარიშებს სტრუქტურულ ანალიზის საფუძველზე, რა დროსაც ყურადღება მახვილდება კლიენტის სამეურნეო და ფინანსურ მოგებიანობას. გაუარესებული კრედიტუნარიანობის მქონე კლიენტებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკის შესახებ ანგარიში უფროს საკრედიტო კომიტეტს წარდგინება თვეში ერთხელ და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განიხილება კვარტალში ერთხელ. ჯგუფი არ იყენებს ოფიციალურ შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემას საკრედიტო რისკის მიმართ მგრძნობიარობაზე მონიტორინგის განსახორციელებლად. მენეჯმენტი ახორციელებს ვადაგადაცილებული საღდოების მონიტორინგსა და შემდგომ კონტროლს.

ბანკის რისკების მართვის დეპარტამენტი განიხილავს დაუფარავი სესხების ვადიანობის ანალიზს და ახორციელებს ვადაგადაცილებული საღდოების მონიტორინგსა და შემდგომ კონტროლს. ამიტომ მენეჯმენტის აზრით სათანადო საკრედიტო რისკის შესახებ ვადიანობისა და სხვა ინფორმაციის წარმოდგენა ისე, როგორც ეს ასახულია მე-10 განმარტებით შენიშვნაში.

მენეჯმენტი საკრედიტო რისკის კონცენტრაციების მონიტორინგსა და დეკლარირებას ახორციელებს იმ ანგარიშების მიღებით, რომლებშიც ასახულია ერთ მსესხებელთან, მსესხებლების ერთ ჯგუფთან, დაკავშირებული მხარის კონცენტრაციებთან და მსხვილი მსესხებლების ჯგუფის კონცენტრაციებთან დაკავშირებული (უმსხვილესი 20 და უმსხვილესი 40 მსესხებლის კონცენტრაცია შეფარდებული მთლიან (ბრუტო) სესხებთან), მრეწველობის სექტორის კონცენტრაციებთან დაკავშირებული რისკები. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ მე-10 განმარტებით შენიშვნა.

არასაბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი განისაზღვრება, როგორც იმ ზარალის განცდის შესაძლებლობა, რომელიც გამოწვეულია ფინანსური ინსტრუმენტის სხვა მხარის მიერ თავისი ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შეუსრულებლობით. როგორც პირობით ვალდებულებებთან, ასევე საბალანსო ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით ჯგუფი იყენებს იმავე საკრედიტო პროცედურებს კრედიტების დამტკიცების დადგენილი პროცედურების, რისკების კონტროლის დადგენილი ლიმიტებისა და მონიტორინგის პროცედურების მეშვეობით.

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი. ჯგუფი განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას. საბაზრო რისკი გამოდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში, (ბ) ვალუტაში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი ფიქრობს, რომ ჯგუფი არ დგას წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებიდან გამომდინარე საბაზრო რისკის წინაშე. შესაბამისად, ჯგუფის საბაზრო რისკი შემოიფარგლება: (ა) სავალუტო და (ბ) საპროცენტო განაკვეთის რისკებით. მენეჯმენტი აწესებს მისაღები რისკის მოცულობას. საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ლიმიტების დაცვაზე მონიტორინგ ხორციელდება ყოველდღიურად. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამოირიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. ღია სავალუტო პოზიციამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალი სხვაობის მოცულობიდან და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებიდან გამომდინარე. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს სავალუტო რისკის დონეზე და მთლიანობაში ერთდღიან და რამდენიმედღიან პოზიციებზე, რომელთა მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება. ზოგად ღია სავალუტო პოზიციებზე ლიმიტები დგინდება ამ რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად იმდენად, რამდენადაც ასეთმა ცვლილებებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის შემოსავლებზე, კაპიტალზე და კრედიტუნარიანობაზე. ღია სავალუტო პოზიცია იანგარიშება და ნარჩუნდება ყოველდღიურად. რაიმე დარღვევის შემთხვევაში, ბანკმა უნდა განახორციელოს დაბალანსების ოპერაციები ამ პარამეტრის დამტკიცებულ ფარგლებში მოსაყვანად. ზოგადი ღია სავალუტო პოზიციები არის კონსოლიდირებული საბალანსო და გარესაბალანსო პოზიციები, რომლებიც სებ-ის მიერ დადგენილ ფარგლებში უნდა თავსდებოდეს. სებ-ის მიერ დადგენილი ლიმიტი შეადგენს საზედამხებველო კაპიტალის 20%-ს. ამასთან აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი აწესებს ღია სავალუტო პოზიციის რამდენიმედღიან და ერთდღიან ლიმიტებს ყველა ან ცალკეული ვალუტებისთვის, რომელთა ფარგლებშიც ბანკმა უნდა განახორციელოს საქმიანობა. ასეთ ლიმიტებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი პერიოდულად განიხილავს საბაზრო პირობებზე რეაგირების მიზნით. ბანკის შიდა ლიმიტები მნიშვნელოვნად დაბალია სებ-ის მიერ დადგენილ ლიმიტებზე და შეადგენს 2 მილიონ ლარს (ანუ საზედამხებველო კაპიტალის 1,75%-ს).

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს:

ათას ლარში	2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ ლებები	წარმოებუ ლები	წმინდა პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ ლებები	წარმოებ ულები	წმინდა პოზიცია
ქართული ლარი	215,262	(111,042)	25,389	129,609	106,211	(45,639)	-	60,572
აშშ დოლარი	169,551	(143,312)	(26,337)	(98)	89,102	(87,425)	-	1,677
ევრო	14,304	(14,313)	-	(9)	13,044	(12,979)	-	65
შვეიცარიული ფრანკი	19	(11)	-	8	26	(22)	-	4
ფუნტი	182	(133)	-	49	157	(114)	-	43
სტერლინგი	-	-	-	-	-	-	-	-
რუსული რუბლი	1	(3)	-	(2)	7	(1)	-	6
ჩინური იუანი	8	-	-	8	1	-	-	1
სულ	399,327	(268,814)	(948)	129,565	208,548	(146,180)	-	62,368

ზემოთ წარმოდგენილი დერივატივები ფულადი ფინანსური აქტივები ან ფულადი ფინანსური ვალდებულებებია, მაგრამ წარმოდგენილია ცალკე ჯგუფის მთლიანი რისკის საჩვენებლად.

წარმოებულებთან დაკავშირებით ნაჩვენები თანხები წარმოადგენს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს იმ შესაბამისი ვალუტის სამართლიან ღირებულებას, რომლის შესყიდვაზეც (დადებითი თანხა) ან გაყიდვაზეც (უარყოფითი თანხა) ჯგუფმა თანხმობა განაცხადა პოზიციების ურთიერთთანაფასის ან კონტრაგენტთან ანგარიშსწორების განხორციელებამდე. ვალუტის მიხედვით თანხები წარმოდგენილია ბრუტო საფუძველზე, როგორც ამის შესახებ 32-ე განმარტებით შენიშვნაშია აღნიშნული. ზემოთ წარმოდგენილ ანალიზში მოცემულია ფულადი აქტივები და ვალდებულებები. კაპიტალში და არაფულად აქტივებში ინვესტიციები მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ იწვევს.

სს “ზაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობიარობა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გამოყენებული ძირითადი სავალუტო კურსების მიმართ ქართულ ლართან შედარებით, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

ათას ლარში	2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	ზეგაფლენა მოგებაზე ან ზარალზე	ზეგაფლენა კაპიტალზე	ზეგაფლენა მოგებაზე ან ზარალზე	ზეგაფლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება (2012: 20%-ით გამყარება)	(20)	-	335	-
აშშ დოლარის 20%-ით გაუფასურება (2012: 20%-ით გაუფასურება)	20	-	(335)	-
ევროს 20%-ით გამყარება (2012: 20%-ით გამყარება)	(2)	-	13	-
ევროს 20%-ით გაუფასურება (2012: 20%-ით გაუფასურება)	2	-	(13)	-

ეს რისკი გაანგარიშებული იყო ჯგუფის შესაბამისი სუბიექტის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავალუტო რისკის მიმართ ჯგუფის რისკი არ ასახავს წლის განმავლობაში არსებულ ტიპურ რისკს. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია მოგების ან ზარალის და კაპიტალის საშუალო მგრძნობიარობა წლის განმავლობაში გამოყენებული ძირითადი სავალუტო რისკის მიმართ ქართულ ლართან შედარებით, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

ათას ლარში	2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	ზეგაფლენა მოგებაზე ან ზარალზე	ზეგაფლენა კაპიტალზე	ზეგაფლენა მოგებაზე ან ზარალზე	ზეგაფლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება (2012: 20%-ით გამყარება)	159	-	39	-
აშშ დოლარის 20%-ით გაუფასურება (2012: 20%-ით გაუფასურება)	(159)	-	(39)	-
ევროს 20%-ით გამყარება (2012: 20%-ით გამყარება)	-	-	(1)	-
ევროს 20%-ით გაუფასურება (2012: 20%-ით გაუფასურება)	-	-	1	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. ამგვარი ცვლილებების შედეგად საპროცენტო მარჟები შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ მოულოდნელი მოვლენების შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი. მენეჯმენტი ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასებით გამოწვეული სხვაობის დონის ყოველთვიურ მონიტორინგს, და მასზე აწესებს ლიმიტებს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის მგრძნობიარობა საპროცენტო რისკების მიმართ. ცხრილში ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჯამური თანხები ასახულია საბალანსო ღირებულებით და კატეგორიულად დაყოფილია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გადაფასების დღის ან დაფარვის დღის მიხედვით (იმის გათვალისწინებით, რომელიც უფრო მალე დადგა).

ათას ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები ვადით	1-დან 6 თვემდე ვადით	6-დან 12 თვემდე ვადით	1 წელზე მეტი ვადით	უპროცენტო	სულ
2013 წლის 31 დეკემბერი						
მოთხოვნი ფინანსური აქტივები	182,575	25,356	30,966	124,900	63	363,860
მოთხოვნი ფინანსური ვალდებულებები	157,639	44,128	44,169	20,596	-	266,532
წმინდა საპროცენტო მგრძნობიარობის გაბი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,936	(18,772)	(13,203)	104,304	63	97,328
2012 წლის 31 დეკემბერი						
მოთხოვნი ფინანსური აქტივები	78,458	16,147	15,677	59,277	63	169,622
მოთხოვნი ფინანსური ვალდებულებები	80,823	22,880	23,215	17,590	-	144,508
წმინდა საპროცენტო მგრძნობიარობის გაბი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,365)	(6,733)	(7,538)	41,687	63	25,114

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

პროცენტიანი აქტივებისა და ვალდებულებების უმეტესობა ნაწვენებია ფიქსირებული განაკვეთებით, ხოლო ნასესხები სახსრების ნაწილი ეფუძნება მცოცავ საპროცენტო განაკვეთებს. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუ საპროცენტო განაკვეთები ამ დღეს 200 საბაზისო პუნქტით დაბალი (2012: 200 საბაზისო პუნქტით დაბალი) იქნებოდა, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში, წლის მოგება იქნებოდა 239 ათასი (2012: 523 ათასი) ლარით უფრო მეტი, ძირითადად ცვალებად პროცენტიან ვალდებულებებზე დაბალი საპროცენტო ხარჯის შედეგად. კაპიტალის სხვა კომპონენტები 1,791 ათასი (2012: 800 ათასი) ლარით მეტი იქნებოდა სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომად კლასიფიცირებული, ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების ზრდის შედეგად.

თუ საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით მაღალი (2012: 200 საბაზისო პუნქტით მაღალი) იქნებოდა, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში, მოგება იქნებოდა 1,089 ათასი (2012: 962 ათასი) ლარით უფრო ნაკლები, ძირითადად სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილ ფინანსურ აქტივებში მომხდარი ცვლილებისა და ცვალებად პროცენტიან ვალდებულებებზე მაღალი საპროცენტო ხარჯის შედეგად. კაპიტალის სხვა კომპონენტები 816 ათასი (2012: 279 ათასი) ლარით ნაკლები იქნებოდა სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომად კლასიფიცირებული, ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების შემცირების შედეგად.

ბანკი ახორციელებს თავისი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგს. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ანგარიშების შესაბამის დღეს არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები ძირითად ვალუტებთან დაკავშირებით მენეჯმენტის საკვანძო პერსონალის მიერ განხილული ანგარიშების საფუძველზე. ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთები წარმოადგენს დაფარვამდე შემოსავლიანობას ანგარიშების დღეს არსებული საბაზრო კოტების საფუძველზე:

წლიურ %-ში	2013			2012		
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
აქტივები						
ფული და ფულადი ეკვივალენტები	-	-	-	-	-	-
სებ-ში განთავსებული	1,9%	-	0,2%	1,2%	-	0,4%
სავალდებულო ფულადი სახსრები	3,6%	0,0%	0,0%	4,3%	-	0,2%
სხვა ბანკებისგან მისაღები სახსრები	12,4%	12,7%	15,0%	16,8%	14,9%	15,8%
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	-	-	-	-	-	-
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი	5,5%	-	-	8,1%	-	-
სავალო საინვესტიციო ფასიანი	-	-	-	-	-	-
ქაღალდები	-	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	-
ვალდებულებები						
სხვა ბანკებისთვის გადასახდელი	-	-	-	4,9%	2,8%	0,1%
კლიენტთა ანგარიშები	2,8%	4,2%	3,1%	4,6%	6,7%	3,9%
- მიმდინარე და ანგარიშსწორების	2,3%	1,8%	0,6%	4,1%	3,4%	1,1%
ანგარიშები	6,4%	6,1%	6,8%	8,1%	9,3%	8,3%
- ვადიანი დეპოზიტები	2,0%	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	-
ბანკებიდან და სხვა ფინანსური	-	5,4%	-	-	5,4%	-
ინსტიტუტებიდან ნასესხები	-	-	-	-	-	-
სახსრები	-	5,3%	-	-	5,3%	-
სუბორდინირებული ვალი	-	-	-	-	-	-

ზემოაღნიშნულ ცხრილში ნაჩვენებია ნიშანი “-” ნიშნავს იმას, რომ ჯგუფს შესაბამის ვალუტაში არა აქვს შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებები ან რომ ასეთ აქტივებზე ან ვალდებულებებზე პროცენტის ღარიცხვა არ მომხდარა.

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

გეოგრაფიული რისკის კონცენტრაცია. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ათას ლარში	საქართველო	ჩინეთი	ეთგო	არა-ეთგო	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულადი ეკვივალენტები	50,819	21	8,615	51	59,506
სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრები	21,805	-	-	-	21,805
კლიენტებზე გაცემული ავანსები და სესხები	188,531	8	-	-	188,539
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი სავალდ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	93,575	-	-	-	93,575
სხვა ფინანსური აქტივები	435	-	-	-	435
სულ ფინანსური აქტივები	355,165	29	8,615	51	363,860
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ბაკებისთვის გადასახდელი	25	-	-	-	25
კლიენტთა ანგარიშები	153,584	77,780	-	-	231,364
ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	672	-	29,517	-	30,189
სუბორდინირებული ვალი	-	-	3,165	-	3,165
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,789	-	-	-	1,789
სულ ფინანსური ვალდებულებები	156,070	77,780	32,682	-	266,532
საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა პოზიცია	199,095	(77,751)	(24,067)	51	97, 328
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები და შესრულების გარანტიები	24,322	41	-	-	24,363

სს “პაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ათას ლარში	საქართველო	ჩინეთი	ეთგო	არა-ეთგო	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულადი ეკვივალენტები	27,746	2	4,755	100	32,603
სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრები	12,943	-	-	-	12,943
სხვა ბანკებიდან მისაღები	265	-	-	-	265
კლიენტებზე გაცემული ავანსები და სესხები	94,529	4	-	-	94,533
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი სავალდებულო	28,872	-	-	-	28,872
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	406	-	-	-	406
სულ ფინანსური აქტივები	164,761	6	4,755	100	169,622
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ბანკებისთვის გადასახდელი	5,314	-	-	4	5,318
კლიენტთა ანგარიშები	98,814	17,249	-	-	116,063
ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	847	-	19,020	-	19,867
სუბორდინირებული ვალი	-	-	2,976	-	2,976
სხვა ფინანსური ვალდებულებები	284	-	-	-	284
სულ ფინანსური ვალდებულებები	105,259	17,249	21,996	4	144,508
საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა პოზიცია	59,502	(17,243)	(17,241)	96	25,114
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები და შესრულების გარანტიები	21,094	506	-	-	21,600

აქტივები, ვალდებულებები და კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები ზოგადად ეფუძნება კონტრაგენტის ადგილმდებარეობის ქვეყანას. კონტრაგენტების ბალანსები, რომლებიც რეალურად დასაფარია ამ კონტრაგენტების ჩინეთში მდებარე სათაო კომპანიების მიმართ/მიერ, ასახულია “ჩინეთის” სვეტში. ხელზე არსებული ფული განაწილდა იმ ქვეყნის მიხედვით, რომელშიც ის ფიზიკურად არსებობს.

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელობა ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ჯგუფმა თავის ხელმძისაწვდომ ფულად რესურსებზე უნდა შეასრულოს ყოველდღიური მოთხოვნები ერთდროულ დეპოზიტებთან, მიმდინარე ანგარიშებთან, ვადადამდგარ დეპოზიტებთან, სესხების ათვისებასთან, გარანტიებთან, მარჯასთან და ნაღდი ფულით დაფარულ წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ჯგუფი არ ინახავს ნაღდი ფულის რესურსებს ყველა ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რადგან, როგორც გამოცდილება აჩვენებს, ვადადამდგარი სახსრების რეინვესტირების დონის პროგნოზირება შესაძლებელია მაღალი სიზუსტით.

ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს დაფინანსების სტაბილური ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სხვა ნასესხები სახსრებისგან და იურიდიული და ფიზიკური პირი კლიენტების დეპოზიტებისგან. ჯგუფი ამ სახსრების ინვესტირებას ახორციელებს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ აქტივებში, რომ შემდგომ ლიკვიდობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების სწრაფად და უმტკივნეულოდ დაკმაყოფილება.

ჯგუფის ლიკვიდობის მართვა მოითხოვს ლიკვიდური აქტივების იმ დონის განხილვას, რომელიც აუცილებელია ვალდებულებების შესრულებას მათი ვადის დადგომისთანავე; დაფინანსების სხვადასხვა წყაროებზე წვდომის შენარჩუნებას; დაფინანსების საგანგებო გეგმების ქონას; და მარეგულირებელ მოთხოვნებთან ლიკვიდობის კოეფიციენტების შესაბამისობის მონიტორინგს. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების დაცვით, ბანკი ლიკვიდობის კოეფიციენტების გაანგარიშებას ახორციელებს ყოველდღიურად. ლიკვიდობის კოეფიციენტი განიმარტება, როგორც საშუალო კოეფიციენტი, რომელიც მიიღება ლიკვიდური აქტივების შეფარდებით იმ ვალდებულებებთან და ნასესხებ სახსრებთან, რომელთა დაფარვის ვადაც დგება 60-მდე კალენდარული დღის პერიოდში, და გარესაბაღანსო ვალდებულებებთან, რომლებიც ყოველთვიურად მინიმუმ 30%-ით შემოიფარგლება. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდობის საშუალო კოეფიციენტი შეადგენდა 70%-ს (2012: 42%). აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი აღგენს ლიკვიდობის ლიმიტებს ყველა ძირითად სავალუტო პოზიციასთან დაკავშირებით. ლიკვიდობის საჭირო დონე იანგარიშება მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება მოთხოვნამდე ვალდებულებების საჭირო ლიკვიდობის მინიმალური დონის დასადგენად და იანგარიშება 30 დღიანი რიკის ღირებულების ანალიზის საფუძველზე, 2 წლიანი უკუპერიოდის გათვალისწინებით. ამ კოეფიციენტის გადახედვა აქტივ-პასივების კომიტეტის მიერ ხორციელდება ყოველ ექვს თვეში ერთხელ.

სახაზინო დეპარტამენტი იღებს ინფორმაციას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის პროფილის შესახებ. ამის შემდეგ სახაზინო დეპარტამენტი უზრუნველყოფს მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივების ადეკვატურ პორტფელს, რომელიც უმთავრესად შედგება მოკლევადიანი ლიკვიდური ფასიანი ქაღალდებისგან, ბანკებში განთავსებული დეპოზიტებისგან და სხვა ბანკთაშორის პროდუქტებისგან იმისათვის, რომ მთლიანობაში ჯგუფში იყოს საკმარისი ლიკვიდობა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ვალდებულებები მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები წარმოადგენს სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს და მთლიან სასესხო ვალდებულებებს და შესრულების გარანტიებს. ხსენებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შეტანილი თანხებისგან იმიტომ, რომ ინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ფინანსური წარმოებულები შეტანილია გადასახდელი ან მისადები სახელშეკრულებო თანხებით, თუ ჯგუფი არ მოელის წარმოებული პოზიციის დაფარვის დღემდე დახურვას, რა შემთხვევაშიც წარმოებულები შეტანილია მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია არაწარმოებული ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი ამ აქტივების საბაღანსო ღირებულებებით და სახელშეკრულებო დაფარვის ვადების გათვალისწინებით გარდა თავისუფლად რეალიზებადი აქტივებისა იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია ფინანსური ვალდებულებების დასაფარად ფულად ნაკადებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. ასეთი ფინანსური აქტივები ვადიანობის ანალიზში აისახება მათი განკარგვის მოსალოდნელი თარიღის გათვალისწინებით. გაუფასურებული სესხები ასახულია მათი საბაღანსო ღირებულებით, გაუფასურების რეზერვების გარეშე, და ფულადი ნაკადების მოსალოდნელი დროის გათვალისწინებით. წარმოებულები წარმოდგენილია მათი სახელშეკრულებო დაფარვის ვადის გათვალისწინებით.

როცა გადასახდელი თანხა ფიქსირებული არ არის, დეკლარირებული თანხა განისაზღვრება ანგარიშგების დღეს არსებულ პირობებზე მითითებით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები ანგარიშსწორების ვალუტაში გადაიყვანება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული “სპოტ” სავალუტო კურსის გამოყენებით.

სს “პაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

28 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ინსტრუმენტების ვადიანობის ანალიზი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	მოთხოვნა დე და 1 თვეზე ნაკლები ვადით	1-დან 6 თვემდე ვადით	6-დან 12 თვემდე ვადით	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები						
ფული და ფულადი ეკვივალენტები	59,506	-	-	-	-	59,506
სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრები	21,805	-	-	-	-	21,805
